საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში

2019 წელი

თბილისი

წინასიტყვაობა

საქართველოსა და მის გარშემო არსებული უსაფრთხოების გარემოს გათვალისწინებით, ასევე, რეგიონის გეოპოლიტიკური თავისებურებებიდან გამომდინარე, ქვეყანაში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის უმთავრესი გამოწვევა და ამოცანაა. აღნიშნულისკენ იყო მიმართული სამსახურის ძალისხმევა 2019 წლის განმავლობაშიც.

ქვეყნის წინაშე მდგარი უსაფრთხოების გამოწვევების თვალსაზრისით, 2019 წელი განსაკუთრებული კომპლექსურობით გამოირჩეოდა.

უცხო სახელმწიფოების სპეციალური სამსახურები განაგრძობდნენ ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და სხვა პროცესებში ჩარევის მცდელობებს, რა დროსაც იყენებდნენ იდეოლოგიურ, სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და სხვა სახის ბერკეტებს.

საქართველოსთვის მთავარ გამოწვევად რჩება რუსული ოკუპაცია. 2019 წელს საოკუპაციო ძალების უკანონო აქტივობებმა კრიტიკულად დაძაბა საოკუპაციო ხაზის გასწვრივ და ზოგადად, რეგიონში არსებული ვითარება. ამ მხრივ, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სოფელ ჩორჩანას მიმდებარედ განვითარებული მოვლენები.

მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო ცალკეული სახელმწიფოების მხრიდან საქართველოში „ჰიბრიდული ომის“ ინსტრუმენტების გამოყენების მცდელობები. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში აღნიშნული ინსტრუმენტები არსებითად არ შეცვლილა, გასულ წელს კიდევ უფრო დაიხვეწა მისი წარმოების ფორმები, მეთოდები და სამიზნე ობიექტებზე ზემოქმედების ტაქტიკა.

აღნიშნულის ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობდა მოსახლეობაში ანტიდასავლური განწყობების გაღვივება და ქვეყნის მიერ არჩეულ საგარეო კურსზე ზემოქმედება.

ე.წ. ჰიბრიდულ საფრთხეებთან, მათ შორის, დეზინფორმაციასა და პროპაგანდასთან გამკლავება მნიშვნელოვანი გამოწვევაა არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის, არამედ უფრო ძლიერი შესაძლებლობების მქონე დემოკრატიული სახელმწიფოებისთვისაც.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ დეზინფორმაციისა და პროპაგანდისგან დაცვის პროცესში მნიშვნელოვანია, ყურადღების მიღმა არ დარჩეს თავისუფალი სამყაროს ისეთი მონაპოვარი, როგორიცაა სიტყვის, აზრის და გამოხატვის თავისუფლება, ამა თუ იმ პირის პოლიტიკური, რელიგიური თუ სოციალური შეხედულებები და სხვა.

ახალი ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად სულ უფრო იზრდება უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების სადაზვერვო და კიბერ შესაძლებლობები, რაც ახალი გამოწვევების წინაშე

აყენებს ეროვნულ უსაფრთხოებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სტრატეგიულ მოკავშირეებთან თანამშრომლობის გაძლიერება, მათ შორის, კიბერთავდაცვისა და კონტრდაზვერვითი შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით.

ტერორიზმიდან მომდინარე საფრთხეები უცვლელად დგას თანამედროვე მსოფლიოს დღის წესრიგში. მიუხედავად იმისა, რომ „დაეშმა" დაკარგა მნიშვნელოვანი შესაძლებლობები, ტერორიზმის კუთხით იგი "ალ-ქაიდასთან" ერთად კვლავ წარმოადგენს მსოფლიოს უსაფრთხოების მთავარ გამოწვევას.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და სხვა შესაბამისი უწყებების კოორდინირებული მუშაობის შედეგად, საქართველოში ტერორიზმიდან მომდინარე საფრთხეები მინიმუმამდეა შემცირებული. თუმცა, ამ მხრივ, რა თქმა უნდა არსებობს გარკვეული გამოწვევები.

წინამდებარე ანგარიშში განხილულია 2019 წლის ძირითადი საფრთხეები და გამოწვევები და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გატარებული საპასუხო ზომები.

აღნიშნულ პროცესში სამსახური მოქმედებდა კანონის უზენაესობისა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვით, უზრუნველყოფდა კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის ჯეროვან შესრულებას.

უსაფრთხოების თვალსაზრისით, მსოფლიოში, რეგიონსა და ჩვენს ქვეყანაში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, სამსახურისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია საზოგადოების მხარდაჭერა და თანამშრომლობა. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა მიმართულებით მომდინარე საფრთხეებისგან ქვეყნის ეფექტიანად დაცვა შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის პასუხისმგებლობების სწორი გადანაწილებით და აღნიშნული პასუხისმგებლობების პირნათლად შესრულებით.

გრიგოლ ლილუაშვილი

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების

სამსახურის უფროსი

ოკუპირებული ტერიტორიები 4
სახელმწიფო უსაფრთხოება და კონტრდაზვერვითი საქმიანობა 11
ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა 20
საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები და მათგან მომდინარე საფრთხეები 21
საქართველოს წინაშე არსებული ტერორისტული საფრთხეები და გამოწვევები 24
კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა 29
სამართლებრივი ბაზის განვითარება და სასამართლოებთან ურთიერთობა 32
პერსონალურ მონაცემთა დაცვა, ზედამხედველობა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 33
საერთაშორისო თანამშრომლობა და უწყებათაშორისი კოორდინაცია 35
საერთაშორისო თანამშრომლობა 35
უწყებათაშორისი თანამშრომლობა და კოორდინაცია 38
მდგრადობა და ინსტიტუციური განვითარება 40
ადამიანური რესურსები და პროფესიული განვითარება 40
მატერიალურ–ტექნიკური და ფინანსური რესურსები 42

ოკუპირებული ტერიტორიები

საქართველოს სახელმწიფოსთვის ეგზისტენციალურ საფრთხეს კვლავ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და ოკუპირებულ რეგიონებში უკანონოდ განთავსებული რუსეთის ფედერაციის სამხედრო კონტინგენტი წარმოადგენს. ქვეყნის მთავარ გამოწვევად რჩება რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში წარმოებული ოკუპაციის ანექსიური პროცესებით ჩანაცვლების პოლიტიკა, ოკუპირებული ტერიტორიების მზარდი მილიტარიზაცია, თანამედროვე მძიმე შეიარაღების კომპონენტების, მათ შორის, შეტევითი სამხედრო ტექნიკის კონცენტრაცია და ინტენსიური სამხედრო წვრთნები, ადგილობრივი მკვიდრი ქართული მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია, თავისუფლად გადაადგილების ფუნდამენტური უფლების შეზღუდვა და ოკუპირებული ტერიტორიების მიზანმიმართული იზოლაციის პროცესი.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ რუსეთის ფედერაციის მიდგომები კვლავ აქცენტირებული იყო არაფორმალური ანექსიის პოლიტიკის გატარების მიმართულებით. რუსეთის ფედერაცია მეთოდურად განაგრძობდა ინსტიტუციონალურ დონეზე სოხუმისა და ცხინვალის ე.წ. სუვერენიტეტის ეტაპობრივად გაუქმების პოლიტიკას. ოფიციალური მოსკოვის სტრატეგიული მიზნის შესაბამისად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე თითქმის სრულად კონტროლდებოდა როგორც დე ფაქტო უწყებების ე.წ. ფუნქციები (ე.წ. საზღვრის დაცვა, ე.წ. საბაჟო სინქრონიზაცია, „სამართალდამცავი უწყებების“ ფუნქციონირება, ე.წ. თავდაცვის უწყების მუშაობა), ასევე, ზოგადად, სამხედრო, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში მიმდინარე ყველა პროცესი.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედი ყველა „პოლიტიკური პარტია“ თუ „გაერთიანება“ არის პრორუსული, შესაბამისად, რუსეთის ფედერაცია განაგრძობდა ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ე.წ. პოლიტიკური სპექტრის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებას. ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის ფედერაცია ტრადიციულად აქტიურად იყენებს ადგილზე არსებულ „პოლიტიკურ და ეკონომიკურ“ არასტაბილურობას, რაც, ხშირ შემთხვევებში, მის მიერვეა ინსპირირებული და დე ფაქტო რეჟიმს მოსკოვისთვის სასურველი გადაწყვეტილებების მიღებისკენ უბიძგებს. რაც შეეხება ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონს, მოქმედი დე-ფაქტო რეჟიმი ღიად უჭერს მხარს ოკუპირებული ტერიტორიის რუსეთის ფედერაციასთან გაერთიანებას.

ანექსიური პოლიტიკის პრიზმაშია განსახილველი ოკუპირებული რეგიონების მაღალი ფინანსური დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციის ცენტრალურ ბიუჯეტზე. არსებული მონაცემებით, საანგარიშო პერიოდში, რუსეთის ფედერაციიდან მიღებული ფინანსური დახმარების წილმა დე ფაქტო აფხაზეთის ე.წ. სახელმწიფო ბიუჯეტში 4,8 მილიარდი რუსული რუბლი (74,4 მილიონი აშშ დოლარი) შეადგინა, რაც ე.წ. ბიუჯეტის 47%-ს შეადგენს, ხოლო რაც შეეხება ცხინვალის რეგიონს, რუსეთის ფინანსურმა დახმარებამ შეადგინა 7,5 მილიარდი რუსული რუბლი (115 მილიონი აშშ დოლარი), რაც „ბიუჯეტის“ 85,2 %-ია.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება წარმოადგენს ხელსაყრელ გარემოს უკანონო ფინანსური ოპერაციების წარმოებისათვის. ამ კონტექსტში ნიშანდობლივია ოკუპირებულ რეგიონებში რუსეთის საბანკო ოპერატორების უკანონო საქმიანობა, რაც, მაღალი ალბათობით, გამოიყენებოდა უკანონო ფინანსური ოპერაციებისთვის. ასევე, ხაზგასასმელია დე ფაქტო ლიდერების ხშირი ვიზიტები უკრაინის ოკუპირებულ რეგიონებში და „ურთიერთდახმარების" მიზნით დაწყებული თანამშრომლობა, მათ შორის ეკონომიკურ და სამხედრო სფეროებში.

ოკუპირებულ რეგიონებში უკანონოდ წარმოდგენილი რუსული სამხედრო კონტინგენტისა და სპეცსამსახურების აქტივობები საფრთხეს უქმნის როგორც საქართველოს, ასევე რეგიონის და ევროპის უსაფრთხოებას.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მონაცემებით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონოდ დისლოცირებული რუსეთის სამხრეთ სამხედრო ოლქის მე-7 და მე-4 სამხედრო ბაზების ქვედანაყოფებმა, საბრძოლო შესაძლებლობების და კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, 2019 წელს 100-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის სამხედრო სწავლება ჩაატარეს. ზემოაღნიშნულ სამხედრო ბაზებზე ასევე ხორციელდებოდა გეგმური როტაციები, შეიარაღების და სამხედრო-ტექნიკური საშუალებების განახლება.

საოკუპაციო ძალებისა და დე ფაქტო რეჟიმების მიერ მიზანმიმართულად ხორციელდებოდა სხვადასხვა ხელოვნური ბარიერის შექმნა ადგილობრივი მოსახლეობისთვის თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვის კუთხით. საოკუპაციო ხაზის სხვადასხვა მონაკვეთზე წარმოებდა უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი, რაც გამოიხატებოდა როგორც მავთულხლართების, ღობეებისა და ე.წ. ხანძარსაწინააღმდეგო ხნულების გავლებით, ასევე, ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების აღმართვით და სხვა დესტრუქციული ქმედებებით. საანგარიშო პერიოდში, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის დინამიკამ მკაფიოდ აჩვენა, რომ აღნიშნული პროცესი საოკუპაციო ძალების მიერ დე ფაქტო უწყებებთან კარგად არის კოორდინირებული.

2019 წლის აგვისტოში საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ გუგუტიანთკარში დაახლოებით 430 მეტრის სიგრძეზე უკანონოდ აღმართეს ლითონის მწვანე ღობე. აღნიშნულის შედეგად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოექცა ორი ადგილობრივის საცხოვრებელი სახლი და სარწყავი არხის ნაწილი.

2019 წელს რუსეთის საოკუპაციო ძალებმა მიმართეს უკიდურესად შემაშფოთებელ და სახიფათო ქმედებებს, რამაც სერიოზულად დააზიანა უსაფრთხოების გარემო და დამატებითი პრობლემები შეუქმნა საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობას. ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანას მიმდებარედ განვითარებული მოვლენები ამის ნათელი დადასტურებაა.

აღნიშული პროცესი დაიწყო 2019 წლის იანვრის თვეში, როდესაც საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლების - ჩორჩანასა და წაღვლის მიმდებარე ტყის მასივში, ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის 1 კილომეტრის სიღრმეში, ყვითელი საღებავით მონიშნეს ხეები და გაკაფეს ბილიკები უკანონო პატრულირებისთვის.

უკანონო „ბორდერიზაციის" პროცესის პრევენციისთვის და ადგილზე უსაფრთხოების გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე, საოკუპაციო ხაზიდან დაახლოებით 250 მეტრის დაშორებით, ქართული პოლიციის სტანდარტული საგუშაგო იქნა განთავსებული.

უსაფრთხოების გარემოს უკიდურესად დამაზიანებელი უკანონო პროცესის ფარგლებში, საოკუპაციო ძალების მხრიდან განხორციელდა საოკუპაციო ხაზთან მძიმე ტექნიკის განთავსება, უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მობილიზება, თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე 1 კმ და 300 მეტრის სიღრმეში გზის გაყვანა და უკანონო ინსტალაციების აღმართვა.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე საოკუპაციო ძალების პროვოკაციული მოქმედებების უპრეცედენტო მაგალითს წარმოადგენდა ხაშურის მუნიციპალიტეტში, საოკუპაციო ხაზთან ახლოს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) მონიტორების გარკვეული დროის განმავლობაში უკანონო დაკავება, მით უფრო, რომ EUMM-ს არა მხოლოდ საოკუპაციო ხაზთან, არამედ აგრეთვე ოკუპირებულ ტერიტორიაზე ოპერირების მანდატი აქვს.

29 აგვისტოს სოფელ ერგნეთში გამართულ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრაზე ოკუპირებული ცხინვალის წარმომადგენლებმა ულტიმატუმის ფორმით მოითხოვეს ქართული პოლიციის სტანდარტული საგუშაგოს აღება, ხოლო 30 აგვისტოს გამართულ ტექნიკურ შეხვედრაზე - საგუშაგოს აღება და ტალკის ქარხნიდან სოფელ ჩორჩანამდე, ტყის მასივის ჩათვლით, ე.წ. ბუფერული ზონის შექმნა.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, 2019 წლის 30 აგვისტოდან IPRM-ის ფორმატის ფარგლებში შვიდი[1] ე.წ. ტექნიკური შეხვედრა გაიმართა.

უკანონო ე.წ. ბორდერიზაცია ასევე დაფიქსირდა ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა, მათ მიერვე 2018 წელს დაახლოებით 370 მეტრის სიგრძეზე აღმართულ ლითონის ბოძებზე ნაწილობრივ გაავლეს ლითონის მწვანე ღობე და მავთულხლართები.

ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში უკანონო ე.წ. ბორდერიზაცია განხორციელდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლების - განმუხურისა და ორსანტიას მიმდებარე ტერიტორიებზე.

[1] 30 აგვისტოს; 2 სექტემბერს; 6 სექტემბერს; 13 სექტემბერს; 1 ოქტომბერს; 25 ოქტომბერს; 12 ნოემბერს.

საანგარიშო პერიოდში, საოკუპაციო ძალები კვლავ განაგრძობდნენ უკანონო დაკავებების პრაქტიკას. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით 86, ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით 27 უკანონო დაკავების ფაქტი იქნა რეგისტრირებული[2].

2019 წლის 10 მარტს რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა ოკუპირებული გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის მიმდებარედ, ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით, უკანონოდ დააკავეს საქართველოს მოქალაქე **ირაკლი კვარაცხელია**. იგი გადაყვანილი იქნა რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის ბაზაზე, სადაც უკანონო გამოკითხვის შემდეგ საკანში მოათავსეს. უკანონო დაკავებიდან მცირე დროის გასვლის შემდეგ **ირაკლი კვარაცხელია** ჩამომხრჩვალი აღმოაჩინეს. აღნიშნული საკითხი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ, საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, მწვავედ იქნა განხილული არსებული მოლაპარაკებების ფორმატში. **ირაკლი კვარაცხელიას** გარდაცვალება საოკუპაციო რეჟიმის მიერ განხორციელებული უკანონო დაკავების შედეგია.

უპრეცედენტო საზოგადოებრივი და საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია ექიმ-ტრავმატოლოგის **ვაჟა გაფრინდაშვილის** უკანონო დაკავების ფაქტმა. იგი საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა 2019 წლის 9 ნოემბერს უკანონოდ დააკავეს და გამოგონილი ბრალდებების საფუძველზე ორი თვით უკანონო პატიმრობა შეუფარდეს. 2019 წლის 20 დეკემბერს ოკუპირებულ ცხინვალში გამართულმა „სასამართლომ" უკანონოდ დაკავებულ **ვაჟა გაფრინდაშვილს** 1 წლითა და 9 თვით „თავისუფლების აღკვეთა" მიუსაჯა.

ვაჟა გაფრინდაშვილის უკანონო დაკავების პირველივე დღიდან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და შესაბამისი უწყებების მხრიდან განხორციელდა ყველა არსებული რესურსის მობილიზება. კონსოლიდირებული პოზიცია დააფიქსირეს და პროცესში აქტიურად ჩაერთნენ საერთაშორისო პარტნიორები. შედეგად, ცენტრალური ხელისუფლების და საერთაშორისო პარტნიორების ძალისხმევამ და კოორდინირებულმა მოქმედებებმა აიძულა ცხინვალის დე-ფაქტო რეჟიმი, 2019 წლის 28 დეკემბერს **ვაჟა გაფრინდაშვილი** გაეთავისუფლებინა უკანონო პატიმრობიდან.

კვლავ მწვავედ დგას ოკუპირებულ რეგიონებში ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის მიზანმიმართული დისკრიმინაციის პრობლემა. მათ შორის, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების შეზღუდვა, მოსახლეობის ეთნიკური იდენტობის შეცვლისა და ასიმილაციისკენ მიმართული პოლიტიკა, ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის ქონებრივი უფლებების შეზღუდვა და რეგიონში დაბრუნების გამორიცხვის მიზნით მათი

[2] აღსანიშნავია, რომ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით ცენტრალური ხელისუფლების მიერ რეგისტრირებული ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით დაკავებული პირების რაოდენობაში ცდომილება დაახლოებით 5%-ის ფარგლებში მერყეობს. ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებაზე, ცენტრალური ხელისუფლების მიერ იდენტიფიცირებული უკანონო დაკავებების რაოდენობა რეალური ჯამური რიცხვის დაახლოებით 10-15%-ს შეადგენს. აღნიშნული გარემოება გამოწვეულია უკანონო დაკავებების შესახებ ინფორმაციის „ცხელი ხაზის" მეშვეობით არასათანადოდ გაზიარებით.

სახლების განადგურება. გასული წლის განმავლობაში საოკუპაციო ძალებისა და დე ფაქტო რეჟიმის მიერ დაწესებული არალეგიტიმური შეზღუდვების შედეგად უკიდურესად გაუარესდა ოკუპირებული გალის რაიონში ეთნიკური ქართველების ყოველდღიურობა. გალელი ქართველების უფლებრივი მდგომარეობა, ხშირ შემთხვევაში, პირდაპირაა დაკავშირებული მათ მიერ ეთნიკური კუთვნილების „შეცვლასთან".

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში ქართული მოსახლეობის კვალის წაშლისა და მომავალში იძულებით გადაადგილებული მკვიდრი ქართველი მოსახლეობის დაბრუნების გამორიცხვის მიზნით ოკუპირებულ სოფელ ერედვში, ეთნიკური ქართველების ნასახლარებზე, რუსეთის ფინანსური მხარდაჭერით გრძელდებოდა ნაგავსაყრელის მშენებლობა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ფლობს ინფორმაციას ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე უკანონო პროცესების შესახებ. ხორციელდებოდა აღნიშნულ პროცესებში ჩართული პირებისა და ე.წ. ორგანიზაციების იდენტიფიცირება. საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით მიმდინარეობდა საერთაშორისო ფორმატების გამოყენება ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დაფიქსირებულ უკანონო აქტივობებზე, მათ შორის, ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის შევიწროვებაზე რეაგირების მიზნით. სამსახურის ხელთ არსებული სამართლებრივი ბერკეტების გამოყენებით დანაშაულებრივ ქმედებებში სხვადასხვა დროს ჩართული ყველა პირი წარსდგება მართლმსაჯულების წინაშე.

საანგარიშო პერიოდში რუსეთის მიერ გრძელდებოდა საოკუპაციო ძალებისა და დე ფაქტო რეჟიმების ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტად გამოყენება.

გასულ წელს უკანონო დაკავებები, ე.წ. ბორდერიზაცია და ადგილზე მიმდინარე სხვა პროცესები იწვევდა საქართველოს მოქალაქეების სამართლიან აღშფოთებას, თუმცა ამ პროცესში ფიქსირდებოდა დაძაბულობა და ესკალაციის საფრთხე საოკუპაციო ხაზის გასწვრივ წარმოდგენილ სამართალდამცავებსა და ცალკეულ სამოქალაქო ჯგუფებს შორის, ასევე, ხშირი იყო მოწოდებები საოკუპაციო ხაზთან ხალხმრავალი აქციების გამართვის შესახებ.

ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მყოფ სამართალდამცავებთან ნებისმიერი ფორმით დაპირისპირება ახდენს ადგილზე არსებული ვითარების ესკალაციას და უკიდურესად აზიანებს უსაფრთხოების გარემოს, ხოლო საოკუპაციო ხაზის გასწვრივ ხალხმრავალი აქციები საფრთხეს უქმნის ადგილზე მყოფი თითოეული მოქალაქის უსაფრთხოებას.

აქტიურად წარმოებული პროპაგანდისტული და დეზინფორმაციული კამპანიის ფონზე, დე ფაქტო რეჟიმებმა ყალბ ახალ ამბებს დაუკავშირეს საოკუპაციო ხაზზე გადაადგილების კიდევ უფრო შეზღუდვა. 2019 წლის დასაწყისში, ე.წ. ღორის გრიპის (H1N1) სეზონური გავრცელების ე.წ. საფრთხის თავიდან აცილების მიზნით საოკუპაციო ხაზზე გადაადგილება 45 დღით

შეიზღუდა. დაიხურა ე.წ. გამშვები პუნქტები და ადგილობრივი მოსახლეობა მოექცა იზოლაციაში. 2019 წლის სექტემბერში საოკუპაციო რეჟიმმა კიდევ ერთხელ შეზღუდა საოკუპაციო ხაზზე თავისუფალი გადაადგილება, რაც ამჯერად ცენტრალური ხელისუფლების მიერ უსაფრთხოების ვითარების „გაუარესებას" და ჩორჩანაში განვითარებულ პროცესებს დაუკავშირა.

სოფელ ჩორჩანასთან დაკავშირებით საოკუპაციო ძალები აქტიურად აშუქებდნენ დეზინფორმაციას. მიზანმიმართული საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში საოკუპაციო ძალები ავრცელებდნენ ყალბ ახალ ამბებს, მათ შორის, თბილისის მხრიდან დამატებითი პოლიციური ძალების მობილიზების და პოლიციასა და მოსახლეობას შორის მომხდარი დაპირისპირების შესახებ.

საოკუპაციო ძალებმა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანასთან მიმდინარე მოვლენები ოკუპირებულ ცხინვალში მცხოვრები ეთნიკური ქართველების დისკრიმინაციისთვისაც გამოიყენეს, რითაც ამავდროულად ცენტრალურ ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოხდენა სცადეს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად არის ჩართული ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრებში, სადაც სამსახური ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან წამყვანი უწყებაა.

გასულ წელს საოკუპაციო ძალამ და დე ფაქტო რეჟიმებმა კვლავ უარი განაცხადეს **არჩილ ტატუნაშვილის** და **გიგა ოთხოზორიას** მკვლელობებისა და **დავით ბაშარულის** გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების საქმეებთან დაკავშირებით სიმართლის დადგენისა და დამნაშავეების დასჯის მიზნით შემხვედრი ნაბიჯები გადმოედგათ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური გააგრძელებს ყველა არსებული მექანიზმის და სამართლებრივი ბერკეტის გამოყენებას, რათა საქართველოს მოქალაქეების სიცოცხლის ხელყოფასთან დაკავშირებული ყველა პირი წარსდგეს მართლმსაჯულების წინაშე.

2019 წელს რუსეთის საოკუპაციო ძალების და დე ფაქტო რეჟიმების მიერ მიზანმიმართულად გადადგმული დესტრუქციული ნაბიჯების შედეგად სოფელ ერგნეთში შეწყდა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრები[3].

რუსეთის საოკუპაციო ძალებმა და მათ მიერ მართულმა დე-ფაქტო რეჟიმმა, ჩორჩანაში განვითარებული მოვლენების ირგვლივ ინსპირირებული პროპაგანდისტული კამპანიის ფონზე, უსაფრთხოების გარემოსთან ერთად, კიდევ ერთხელ დააზიანეს IPRM-ის ფორმატი[4]. იმ პირობებში, როდესაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე სადამკვირვებლო მისიების მოქმედება შეწყვეტილია, აღნიშნული ფორმატი მნიშვნელოვანია საოკუპაციო ხაზის ორივე

[3] ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით IPRM-ის შეხვედრები 2018 წლის 27 ივნისის, ხოლო ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით 2019 წლის 29 აგვისტოს შემდეგ არ ჩატარებულა.

[4] ჩორჩანამდე ერთი წლით ადრე იგივე სცენარი გათამაშდა ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით, როცა საოკუპაციო ძალების მიერ გაჟღერებული იქნა მიუღებელი ფორმის და შინაარსის ულტიმატუმი, რასაც შედეგად მოჰყვა გალში IPRM-ის ფორმატის პარალიზება.

მხარეს მცხოვრები მშვიდობიანი მოსახლეობისთვის უსაფრთხოების მინიმალური გარანტიების უზრუნველსაყოფად.

ასევე ნიშანდობლივია, რომ სოფელ ერგნეთში ჩატარებული IPRM-ის შეხვედრების შეწყვეტამდე შემაშფოთებელი ხასიათი შეიძინა მათი რაოდენობის შემცირებამ, რასაც ყოველთვიური შეხვედრების ხასიათი აღარ ჰქონდა[5].

რაც შეეხება ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებას, ცენტრალური ხელისუფლება ყველა არსებული ფორმატის გამოყენებით განაგრძობდა ძალისხმევას ქ. გალში IPRM-ის შეხვედრების აღდგენის მიმართულებით, თუმცა საოკუპაციო ძალების მხრიდან, სამწუხაროდ, არ მოხდა ანალოგიური მიდგომის დაფიქსირება.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური IPRM-ის შეხვედრებს განიხილავს, როგორც უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს საქართველოსა და რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების კუთხით. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც აღნიშნული ფორმატისა და მისი ფუნდამენტური პრინციპების წინააღმდეგ იქნება მიმართული, სამსახურის მიერ აღიქმება მიზანმიმართულ პროვოკაციად.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მეშვეობით მართული „ცხელი ხაზი" წარმატებით ფუნქციონირებს. აღნიშნული მექანიზმის საშუალებით ინფორმაციის ოპერატიული გაცვლა ხელს უწყობს საოკუპაციო ხაზსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ინციდენტებისა და დაძაბულობის პრევენციას და უმოკლეს ვადაში გარკვევა-გადაწყვეტას.

„ცხელი ხაზის" ეფექტური ფუნქციონირების მნიშვნელობამ განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა გალსა და ერგნეთში IPRM-ის შეხვედრების შეწყვეტის პირობებში. სამწუხაროდ, საოკუპაციო ძალების და დე-ფაქტო რეჟიმების მხრიდან ამ მიმართულებითაც დაფიქსირდა ნეგატიური ტენდენციები. კერძოდ, ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით უკანონო დაკავებების შესახებ დროულად არ ზიარდებოდა ინფორმაცია და გვიანდებოდა პასუხი სამედიცინო ევაკუაციების დროს. ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით დაფიქსირდა „ცხელი ხაზით" პოლიტიკური შინაარსის განცხადებების გაზიარების შემთხვევები.

საანგარიშო პერიოდში შენარჩუნდა „ცხელი ხაზის" გააქტიურების ზრდის ტენდენცია. 2019 წელს აღნიშნული ინსტრუმენტი 2362-ჯერ იქნა გამოყენებული. აქედან ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით „ცხელი ხაზი" გააქტიურდა 673-ჯერ, ხოლო ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებაზე „ცხელი ხაზის" გააქტიურების რიცხვმა შეადგინა 1689.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად არის ჩართული ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში. 2019 წელს ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ოთხი რაუნდი (47-ე, 48-ე, 49-ე და 50-ე რაუნდები) გაიმართა.

[5] გასულ წლებში ყოველწლიურად 11 შეხვედრა ტარდებოდა, 2019 წელს კი მხოლოდ 5 შეხვედრა ჩატარდა.

2019 წლის მანძილზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ეფექტურად თანამშრომლობდა საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან (EUMM), რომელიც საქართველოში მოქმედი ერთადერთი საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიაა. EUMM, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის დანაყოფებთან ერთად, მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებაში კვლავაც ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებს.

ოკუპირებული ტერიტორიების მიმართულებით აქტიურად გრძელდება თანამშრომლობა საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UN), ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) და ევროპის საბჭოს (CoE) წარმომადგენლობებთან. 2008 წლის აგვისტოს ომის დანაშაულების გამოძიების პროცესში კი - ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან (ICC).

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური თანამშრომლობს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან (ICRC) ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობისთვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევის და მათი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოყვანის საკითხში. ასევე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ჩართულია წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (ICRC) ეგიდით ორგანიზებულ ე.წ. სამმხრივი საკოორდინაციო შეხვედრების ფორმატში, რომელიც 90-იანი წლების კონფლიქტებისა და 2008 წლის აგვისტოს ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულ და დაღუპულ პირთა მოძიებას ითვალისწინებს. 2019 წელს აღნიშნული ფორმატის ფარგლებში მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხეების იდენტიფიცირების, მათი მაქსიმალურად განეიტრალების და რუსეთის ფედერაციის მხრიდან ანექსიის პროცესებისთვის ხელშეშლის მიზნით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა და მუდმივად აწვდიდა ინფორმაციას საქართველოს სახელმწიფო უწყებებსა და საერთაშორისო პარტნიორებს.

საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირების მიზნით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, თავისი მანდატის ფარგლებში, ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ არსებულ ვითარებას აცნობდა პარტნიორი ქვეყნების უმაღლესი თანამდებობის პირებს, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებს. 2019 წელს სამსახურმა საოკუპაციო ხაზზე მაღალი რანგის სხვადასხვა ოფიციალური პირებისა და მედიის წარმომადგენელთა 50 ვიზიტს გაუწია ორგანიზება.

სახელმწიფო უსაფრთხოება და კონტრდაზვერვითი საქმიანობა

2019 წელს, სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამსახური განაგრძობდა საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, მისი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული

მთლიანობის, სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის, სახელმწიფო საიდუმლოების და კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის, ეროვნული უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის, შიდა და გარე საფრთხეების შემცირებისა და ქვეყნის მოქალაქეების უსაფრთხო გარემოში თანაცხოვრების უზრუნველყოფისკენ მიმართულ საქმიანობას.

მიმდინარეობდა ოპერატიული, ოპერატიულ-ტექნიკური და ანალიტიკური მუშაობა ქვეყნის უსაფრთხოების ხელყოფისკენ მიმართული საფრთხეებისა და ქმედებების პროგნოზირების, გამოვლენის, მათი პრევენციისა და აღკვეთა-განეიტრალების მიზნით.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მიღებული იქნა შესაბამისი ქმედითი ზომები უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების შესაძლო საქმიანობის, კავშირების, დაინტერესების სფეროების გამოვლენისა და მათი მხრიდან შესაძლო მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისგან სახელმწიფოს დაცვის მიზნით.

გასულ წელს უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების საქმიანობის ძირითად მიზანს საქართველოში პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა სახის ზეგავლენის ბერკეტების მოპოვება წარმოადგენდა.

საანგარიშო პერიოდში, უცხო სახელმწიფოთა სპეცსამსახურების სადაზვერვო საქმიანობის, ასევე მათთან შესაძლო კავშირში მყოფი უცხოური თუ ადგილობრივი ორგანიზაციების, ცალკეული პირებისა და პირთა ჯგუფების საქმიანობასთან დაკავშირებით სამსახურის წარმოებაში არსებულ რამდენიმე ასეულ ოპერატიული აღრიცხვის საქმეზე აქტიურად მიმდინარეობდა კანონმდებლობით გათვალისწინებული, როგორც ოპერატიული, ასევე კონტრდაზვერვითი ღონისძიებები.

გასულ წელს საქართველოსთვის მთავარ საფრთხეს რუსეთის ფედერაციის ექსპანსიური პოლიტიკა წარმოადგენდა. გავლენის მოსაპოვებლად რუსეთი კვლავ ახორციელებდა ოკუპირებული ტერიტორიების გამოყენებით სამხედრო ზეწოლას, ასევე მიმართავდა სხვადასხვა სახის ფარულ და კიბერ ოპერაციებსა და მედიამანიპულაციებს.

2019 წელს კვლავ გრძელდებოდა უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების აქტიურობა, რაც გარკვეული თვალსაზრისით მიზნად ისახავდა შიდა პოლიტიკურ პროცესებსა და საზოგადოებრივ წესრიგში არეულობის შეტანას, ასევე მმართველობის ფორმების, ინსტიტუციური სისტემების ფუნქციონირებისა და მათი შესაძლებლობების განვითარების შეფერხებას.

ადგილი ჰქონდა მცდელობებს, საერთაშორისო ასპარეზზე საქართველო წარმოეჩინათ არასტაბილურ, არასანდო პარტნიორად, ხოლო აღნიშნული გამოეყენებინათ საკუთარი გავლენის გასაფართოებლად და ქვეყნის განვითარების შესაფერხებლად.

საქართველო, მისი ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, მუდმივად დგას შუღლის გაღვივების და სეპარატისტული გამოვლინებების საფრთხის წინაშე. ამ მხრივ, საქართველოს ცალკეული რეგიონების მიმართ ინტერესს იჩენდნენ უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურები.

ამავე დროს, 2019 წელს ქვეყანაში გამოიკვეთა ულტრამემარჯვენე განწყობების მქონე ჯგუფებისგან მომდინარე რისკები. მსგავსი განწყობები ასევე კავშირში იყო მსოფლიოში მიმდინარე კრიზისების შედეგად მზარდ საერთაშორისო მიგრაციულ პროცესებთან.

სამსახურის მიერ, მისი პრევენციული ფუნქციების ფარგლებში, მიმდინარეობდა ცალკეული პროცესების კონტროლი და მასში მონაწილე პირების გამოვლენა. სისტემატურად ხდებოდა უსაფრთხოების საკითხებზე შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის გაზიარება. უწყების შესაბამისი დანაყოფები აქტიურად თანამშრომლობდნენ საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორებთან, მათ შორის, სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების შესაბამის სტრუქტურებთან.

ქვეყნის უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ე.წ. ჰიბრიდული საფრთხეები. საქართველოში გავლენის მოპოვებით დაინტერესებული ქვეყნები საკუთარი მიზნების მისაღწევად, კერძოდ, „ჰიბრიდული ომის“ ინსტრუმენტების უფრო ეფექტურად გამოყენებისთვის, განაგრძობდნენ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების შესწავლას.

საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული „ჰიბრიდული ომის“ ფარგლებში იკვეთება ხუთი ძირითადი ინსტრუმენტი:

- საოკუპაციო ძალები და დე ფაქტო რეჟიმები *(სხვა ინსტრუმენტებთან ერთად აღნიშნული ინსტრუმენტით მოქმედებს მხოლოდ რუსეთის ფედერაცია)*
- ე.წ. საინფორმაციო ომი
- ე.წ. რბილი ძალა
- ეკონომიკური ბერკეტები
- ფარული ოპერაციები

რუსეთისთვის „ჰიბრიდული ომის“ ძლიერ ინსტრუმენტს წარმოადგენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონოდ განთავსებული შეიარაღებული ძალები და სპეცსამსახურები, ასევე ადგილზე მოქმედი დე ფაქტო რეჟიმები. აღნიშნული ძალები საკუთარი მიზნების მისაღწევად იყენებენ მათ შორის ისეთ მეთოდებს, როგორიცაა უკანონო სამხედრო წვრთნები, მოქალაქეთა უკანონო დაკავებები და ე.წ. ბორდერიზაცია.

აღნიშნულის შედეგად, უსაფრთხოების გარემოს გარდა, მნიშვნელოვნად ზიანდება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იმიჯი და ავტორიტეტი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამასთანავე, რუსეთი მიმართავს ისტორიული ფაქტების გაყალბების მცდელობებს, რისთვისაც აქტიურად იყენებს დე ფაქტო რეჟიმების წარმომადგენლებს.

2019 წელს, ქართული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემების გარშემო უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ გამოყენებული იყო ე.წ. საინფორმაციო ომის ინსტრუმენტი, რომელიც უმთავრესად დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული კამპანიების საშუალებით ხორციელდებოდა.

- საქართველოში პროპაგანდისტული კამპანიის ზოგადი მიზანი იყო დემოკრატიული ღირებულებების დაკნინება, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის და დასავლეთის კრიტიკა, ხოლო აღნიშნულის საპირწონედ - ცალკეული ქვეყნებისთვის მისაღები მსოფლმხედველობის გავრცელება.
- დეზინფორმაციული კამპანია ძირითადად მიზნად ისახავდა მოსახლეობის პოლარიზაციას, მცდარი შეხედულებების, ასევე შიშის გავრცელებას და საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირებით მნიშვნელოვან პროცესებზე გავლენის მოხდენას.

აღნიშნული კამპანიების წარმოება ყალბი ახალი ამბების, ფაქტების დამახინჯების, ისტორიის გაყალბებისა და მითების შექმნის გზით მიმდინარეობდა. პროცესში სულ უფრო აქტიურად იყო გამოყენებული სოციალური მედია, სხვადასხვა ინტერნეტ-ბლოგი და პლატფორმა, რომლის მომხმარებელს, უმეტესწილად, ახალგაზრდობა წარმოადგენს. ამავე დროს, კონკრეტული თემის ირგვლივ დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული კამპანიები ძირითადად ერთდროულად მიმდინარეობდა.

საქართველოს მოსახლეობისადმი გამიზნული დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული გზავნილების შინაარსი, ასევე მისი გავრცელების ფორმები და მეთოდები ძირითადად საერთო იყო ყველა სოციალური წრისა და ეთნიკური ჯგუფისთვის. თუმცა, რიგ შემთხვევებში, ხდებოდა წინასწარ შერჩეული ჯგუფებისთვის კონკრეტული საკითხების მომზადება და მათთვის მიზანმიმართულად, სათანადო ფორმით მიწოდება.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური დეზინფორმაციის კლასიკურ მაგალითად განიხილავს საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს. წარმოადგენს რა ქვეყნის ბიოლოგიური უსაფრთხოების ერთ-ერთ ძირითად შემადგენელს, აღნიშნული კვლევითი ცენტრი წლების განმავლობაში საინფორმაციო თავდასხმების ერთ-ერთი მთავარი სამიზნეა. ცენტრის წინააღმდეგ მიმართულმა კამპანიამ მასშტაბური ხასიათი მიიღო 2019 წლის დასაწყისში, როდესაც ადგილი ჰქონდა ცენტრის საქმიანობასთან ე.წ. ღორის გრიპის (H1N1) სეზონური გავრცელების დაკავშირების მცდელობას.

აღნიშნულ კამპანიას რამდენიმე მიზანი ამოძრავებდა:

- საქართველოს მოქალაქეებში პროგრესის, მეცნიერული და ტექნოლოგიური განვითარებისადმი შიშის დათესვა;

- საქართველოს სტრატეგიული პარტნიორის - ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ მიმართული უარყოფითი განწყობების გაღვივება და ზოგადად, დასავლური სამყაროს „დემონიზება“;
- საქართველოს ხელისუფლების მიმართ მოსახლეობის ნდობის შემცირება.

კვლევით ცენტრზე მასშტაბური საინფორმაციო თავდასხმები, ისევე, როგორც ვაქცინაციისა და ჯანდაცვის სხვა ეროვნული პროგრამების წინააღმდეგ წარმოებული პროპაგანდა, სხვადასხვა გამოწვევის გარდა, პირდაპირ საფრთხეს უქმნის საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და მის უსაფრთხოებას.

საანგარიშო პერიოდში, გრძელდებოდა მუშაობა „ჰიბრიდული ომის“ ფარგლებში დაფინანსებული, მართული თუ სხვადასხვა ფორმით მხარდაჭერილი ორგანიზაციების, პირების და ჯგუფების გამოვლენისა და მათგან მომდინარე საფრთხეების შემცირება-განეიტრალების მიზნით. დგინდებოდა სხვადასხვა აქტორებს შორის ურთიერთკავშირები, მათი მოქმედების არეალი და მათ წინაშე დასახული ამოცანები.

რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური გამოწვევების ფონზე, საქართველო სტაბილურად ინარჩუნებს კეთილმეზობლურ ურთიერთობებს თურქეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან. მიუხედავად ამისა, მუდმივად არის მიმდინარე ორმხრივ ურთიერთობებში პირდაპირი თუ ირიბი ჩარევისა და მათი მიზანმიმართული დაზიანების მცდელობები.

გასულ წელს დაფიქსირდა ტენდენცია, როდესაც სხვადასხვა პოლიტიკური და სამოქალაქო ჯგუფები ცდილობდნენ, აღნიშნულ ქვეყნებთან ურთიერთობების დესტაბილიზაციის მცდელობებით გადაეფარათ რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები, მათ შორის, ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი. ცალკეული ჯგუფების მხრიდან ადგილი ჰქონდა საქართველოს ზოგიერთ რეგიონში მიმდინარე პროცესების რუსულ ოკუპაციასთან გაიგივების მცდელობას.

აღნიშნულ კონტექსტში განსახილველია 2019 წელს დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ირგვლივ განვითარებული მოვლენებიც. ადგილი ჰქონდა დესტრუქციულ კამპანიას, რამაც საფრთხის წინაშე დააყენა საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვარზე არსებული ვითარება, ასევე, ორ ქვეყანას შორის ჩამოყალიბებული სტრატეგიული პარტნიორობა. აღნიშნულ პროცესებში ჩართული იყვნენ სხვადასხვა ძალები, მათ შორის, ეროვნული ფასეულობების დაცვის საფარს ამოფარებული ცალკეული პირები და პირთა ჯგუფები. საკითხის გასამწვავებლად აქტიურად იყო გამოყენებული ე.წ. საინფორმაციო ომის მეთოდები. მიმდინარეობდა ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობების დამაზიანებელი განწყობების წახალისება, ასევე, პროვოკაციული მოწოდებებით, შექმნილი ვითარების „ოკუპაციის სიბრტყეში“ გადატანის მცდელობა.

პროვოკაციების თავიდან აცილებისა და ვითარების დასტაბილურების მიზნით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან გატარდა შესაბამისი ღონისძიებები.

უწყება ჩართულია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის სამთავრობო კომისიის მუშაობაში, რომელიც ასევე საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის აღნიშნული საკითხის დარეგულირების ლეგიტიმურ ფორმატს წარმოადგენს.
საფრთხეების მინიმიზაციის მიმართულებით, შესაბამისი რეკომენდაციები ეძლევა მოლაპარაკებების პროცესში ჩართულ უწყებებს. ამასთან, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის რეგიონალური დანაყოფები, შესაბამის უწყებებთან კოორდინაციით, მუდმივ რეჟიმში ახორციელებდნენ სასაზღვრო ზონის მიმდებარედ არსებული ოპერატიული ვითარების მონიტორინგსა და შესაბამის ოპერატიულ უზრუნველყოფას.

საქართველოზე გავლენის მოპოვებით დაინტერესებული სახელმწიფოები ასევე ცდილობდნენ ქვეყანაში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების დაპირისპირებას და საზოგადოებაში არსებული უკმაყოფილების საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებას. მნიშვნელოვან პროცესებზე უარყოფითი გავლენის მოხდენის მიზნით მიმდინარეობდა საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირების მცდელობები.

2019 წელს გარკვეული ძალების მიერ ადგილი ჰქონდა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის საკითხის თაობაზე მოსახლეობის პოლარიზაციის მცდელობას. დაფიქსირდა მოსახლეობის მხრიდან სახელმწიფოსთან ძალისმიერი დაპირისპირების ფაქტი. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ, სხვა შესაბამის უწყებებთან ერთად, მიმდინარეობდა ვითარების მონიტორინგი და ხორციელდებოდა დეესკალაციის ღონისძიებები.

გასულ წელს ადგილი ჰქონდა სხვადასხვა დესტრუქციული ძალების მხრიდან რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების გარკვეულ ნაწილზე იდეოლოგიური ზეგავლენის და სეპარატისტული განწყობების სხვადასხვა ფორმით წახალისების მცდელობებს. აღნიშნულის ფარგლებში, სხვადასხვა სოციალური, კულტურული, საქველმოქმედო, საგანმანათლებლო, ინფრასტრუქტურული თუ ბიზნეს პროექტებისა და აქტივობების საფარქვეშ, სამიზნე ჯგუფებში ხორციელდებოდა ანტიქართული განწყობების გაღვივებისა და საქართველოს სახელმწიფოსგან მათი დისტანცირების მცდელობა. ამავე დროს, პერიოდულად ვრცელდებოდა გაყალბებული ფაქტები და მიმდინარეობდა მითების შექმნა, რათა ყოფით ნიადაგზე წამოჭრილი საერთო პრობლემები ეთნიკური ნიშნით წარმოჩენილიყო.

საანგარიშო პერიოდში კონტროლზე იყო აყვანილი საქართველოს ტერიტორიაზე მსგავსი ტიპის ღონისძიებების ჩატარება. აღკვეთილი იქნა გარკვეული აქტივობები, სადაც იგეგმებოდა საქართველოს მოქალაქეებში დესტრუქციული განწყობების გაღვივება. თავიდან იქნა აცილებული ცალკეული პირების ჩართვა ქვეყნის ფარგლებს გარეთ დაგეგმილ მსგავს პროექტებში. ხორციელდებოდა შესაბამისი სასაზღვრო კონტროლი და განეიტრალდა ეთნიკური დაპირისპირებების საქართველოს ტერიტორიაზე გადმოტანის მცდელობები.

სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის არსებითი გამოწვევაა ცალკეული ქვეყნების „რბილი ძალის“ პოლიტიკა და მისი რეალიზების მცდელობები. საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა ქვეყნების მხრიდან გამოიკვეთა კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, საექსპერტო, სპორტული თუ სხვა პროფესიული არხების გამოყენებით საზოგადოების სხვადასხვა ფენაში საკუთარი ინტერესების გატარების მცდელობა.

ე.წ. რბილი ძალის ფარგლებში უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტებზე, რომლის ფარგლებში მიზანმიმართულად მიმდინარეობდა პოლიტიკურ-ეკონომიკურ, ისტორიულ-კულტურულ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით საკუთარ ინტერესებს მორგებული მსოფლმხედველობის გავრცელება.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გატარებული ღონისძიებების ფარგლებში მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა ვითარების კონტროლი. 2019 წელს აღკვეთილი იქნა „რბილი ძალის“ ფარგლებში დაგეგმილი რამდენიმე ღონისძიება და აქტივობა, სადაც გამოვლინდა პროპაგანდისტული, სეპარატისტული, აკრძალული სიმბოლიკის (მათ შორის, საბჭოთა) გამოყენების ან სხვა სახის დესტრუქციული საქმიანობის მცდელობა.

საანგარიშო პერიოდში ცალკეული უცხოელი ბიზნესმენების მხრიდან დაფიქსირდა უცხო ქვეყნის სასარგებლო, შესაძლო უკანონო საქმიანობის განხორციელების მცდელობები. ზოგიერთი მათგანის მიმართ გატარდა შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები, მათ შორის სასაზღვრო კონტროლის მექანიზმები.

უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები ასევე იყენებენ საზოგადოების იმ ჯგუფებს, რომლებიც რადიკალური შეხედულებებით გამოირჩევიან და სხვადასხვა იდეოლოგიის, მათ შორის, ე.წ. ტრადიციული ღირებულებების პროპაგანდით ცდილობენ მოსახლეობაში მხარდაჭერის მოპოვებას. ბოლო პერიოდში აღნიშნული ძალები გამოიყენებოდა ანტიდასავლური შეხედულებების ფორმირებისა და ქვეყნის საგარეო კურსზე ზემოქმედების მოსახდენად.

სამსახური მუდმივ რეჟიმში ახორციელებდა ვითარების მონიტორინგს, კონტროლზე იყო აყვანილი ის პირები და პირთა ჯგუფები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე მსგავს აქტივობებს უწევდნენ ორგანიზებას.

2019 წელს ერთ-ერთი ურთულესი გამოწვევა იყო 20 ივნისს ქ. თბილისში განვითარებული მოვლენები და მისი თანმხლები შედეგები. აღნიშნულმა დიდწილად დააზიანა ქვეყანაში არსებული უსაფრთხოების გარემო.

აგრესია, ძალადობა, სამართალდამცველებისადმი დაუმორჩილებლობა, ასევე უკონტროლო და ქაოტური ვითარების შექმნისკენ მიმართული ქმედებები და აღნიშნულის „მიღებულ ნორმად“ დამკვიდრების მცდელობები მნიშვნელოვან გამოწვევებს ქმნის სახელმწიფოებრიობის, კონსტიტუციური წყობილებისა და მმართველობის ფორმებისთვის.

ჩამოთვლილი ქმედებები, გარდა იმისა, რომ მასშტაბური შიდა პოლიტიკური კრიზისის მაპროვოცირებელია, შესაძლოა, მყისიერად იქნეს გამოყენებული უცხო სახელმწიფოების მიერ ქვეყანაში უფრო მწვავე, შეუქცევადი პროცესების გააქტიურებისთვის.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებას ეკონომიკური უსაფრთხოება და ეკონომიკურ პროცესებში უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ჩარევის პრევენცია წარმოადგენს. საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა ცალკეული სახელმწიფოების მიერ ეკონომიკური ბერკეტების საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების, მათ შორის, ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური ვითარებით მანიპულირების მცდელობები და შესაძლო საფრთხეები.

სამსახურის მხრიდან აქტიურად მიმდინარეობდა ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში არსებულ ან/და დაგეგმილ ეკონომიკურ ურთიერთობებში შესაძლო საფრთხეების გამოკვეთა და მათი შემცირებისთვის რეკომენდაციების შემუშავება.

2019 წელს, ეკონომიკური უსაფრთხოების ჭრილში, სამსახურის მიერ გაანალიზდა გასაფორმებელი სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულებები და პროტოკოლები, გამოვლინდა მათთან დაკავშირებული შესაძლო რისკები.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ აქტიურად ტარდებოდა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეების შემცირებისკენ მიმართული ღონისძიებები და აქტივობები.

სამსახურის შესაბამისი დანაყოფები განაგრძობდნენ ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებებისა და მასალების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას, მათ შორის, 2019 წელს აღკვეთილი იქნა რადიოაქტიური ნივთიერებებისადმი უკანონო მოპყრობისა და საქართველოში უკანონო შემოტანის ფაქტები.

2019 წელს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ფარული მოქმედებების გარკვეულ ნაწილს კიბერშეტევები და კიბერსადაზვერვო ოპერაციები წარმოადგენდა. განსაკუთრებით მასშტაბური იყო გასული წლის ოქტომბერში საქართველოს სამთავრობო და კერძო სტრუქტურების ვებ-გვერდებზე განხორციელებული კიბერთავდასხმა. ქართული მხარის მიერ ჩატარებული გამოძიებით და საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთთანამშრომლობის შედეგად მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, აღნიშნული კიბერშეტევა დაიგეგმა და განხორციელდა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მთავარი სამმართველოს მიერ. ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, სისხლის სამართლის კოდექსის 284-ე და 286-ე მუხლებით.

კიბერშეტევა მიზნად ისახავდა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ხელყოფას, საქართველოს მოსახლეობისათვის ზიანის მიყენებას და სამთავრობო სტრუქტურების, ასევე

სხვადასხვა ორგანიზაციების ფუნქციონირების შეფერხებით და მოშლით საზოგადოებაში მღელვარების დათესვას.

საქართველოს თავდაცვის სისტემის ნატო-ს სტანდარტებთან მიახლოების პროცესში უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები აქტიურ ინტერესს იჩენდნენ თავდაცვის სფეროში არსებული ვითარების, მიმდინარე პროცესებისა და სამომავლო გეგმების მიმართ. ნატო-ს მოწინააღმდეგე ძალები მიზნად ისახავდნენ შავი ზღვის რეგიონსა და საქართველოში ნატო-ს აქტივობების შეზღუდვას.

2019 წელს სამსახური აქტიურად განაგრძობდა მუშაობას საქართველოს შეიარაღებული ძალების კონტრდაზვერვითი უზრუნველყოფის მიმართულებით და ახდენდა დაინტერესებული უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების საქმიანობისა და მათგან მომდინარე საფრთხეებისგან თავდაცვის უწყების უსაფრთხოების დაცვას.

„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონების, ასევე სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე საანგარიშო წლის განმავლობაში სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველსაყოფად, სამსახურის კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში, აქტიურად ხორციელდებოდა სარეჟიმო ობიექტების კონტროლი.

გასულ წელს 131 ორგანიზაცია-დაწესებულებაზე გაიცა სახელმწიფო საიდუმლოებასთან სახელმწიფო ორგანოს/იურიდიული პირის დაშვება, ხოლო გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებების, სანდოობისა და საიმედოობის დაბალი ხარისხის საფუძველზე 15 მათგანს ნებართვის მიღებაზე უარი ეთქვა. ამასთან, საიდუმლოების დაცვის რეჟიმისა და საიდუმლო საქმისწარმოების კომისიური შემოწმება განხორციელდა 119 ორგანიზაცია-დაწესებულებაში.

სამსახურის მიერ განხორციელდა სახელმწიფო საიდუმლოების დაშვების მქონე იურიდიულ სუბიექტებთან დაკავშირებული 10 894 ფიზიკური პირის სახელმწიფო საიდუმლოებასთან ინდივიდუალური დაშვების შემოწმების პროცედურა. 1 227 პირზე განისაზღვრა ნატო-ს კლასიფიცირებულ ინფორმაციასთან დაშვების მიზანშეწონილობის საკითხი.

საგამოძიებო ორგანოების და სხვა დანაყოფების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებთან და სამსახურებრივ შემოწმებებთან დაკავშირებით განხორციელდა ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებებისა და სხვა დოკუმენტური მასალების სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებული ინფორმაციების ნუსხასთან იდენტიფიცირება.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მიგრაციის არხების მონიტორინგს. ოპერატიული საქმიანობის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ მაღალია უცხო ქვეყნებიდან საქართველოში სხვადასხვა სტატუსით დაფუძნების მსურველთა რიცხვი. უცხო ქვეყნის მოქალაქეები ხშირ შემთხვევაში თანამემამულეების ან საქართველოს მოქალაქეების დახმარებით ახერხებდნენ

შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას და ითხოვდნენ სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით საქართველოში დარჩენის ნებართვას.

გასულ წელს სამსახურის მიერ გამოვლენილი იქნა 778 პირი, რომლებიც ფიქციური დოკუმენტების საფუძველზე ცდილობდნენ საქართველოში ლეგალურად ცხოვრების უფლების მოპოვებას. აღნიშნული პირების მიმართ შემდგომი რეაგირების მიზნით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური კოორდინირებულ რეჟიმში მუშაობდა იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებდა საქართველოს სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების გადაადგილების მონიტორინგს.

2019 წელს სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 13 საქმეზე, ქვემდებარეობით სხვა საგამოძიებო დანაყოფიდან დამატებით გადაეცა სისხლის სამართლის 1 საქმე. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ იქნა 9 პირი.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 2 საქმეზე.

აღნიშნული დეპარტამენტების სტრუქტურული დანაყოფების მიერ მოპოვებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე შინაგან საქმეთა სამინისტროში, ფინანსთა სამინისტროსა და პროკურატურაში გამოძიება დაიწყო რამდენიმე ათეულ სისხლის სამართლის საქმეზე.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა

2019 წლის განმავლობაში, საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების გარკვეული თვალსაზრისით დასუსტების მიუხედავად, ტერორიზმი კვლავ წარმოადგენდა მსოფლიო უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას. ტერორისტულმა ორგანიზაცია „დაეშმა“ მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადა. „ალ-ქაიდამ“ და მასთან აფილირებულმა ჯგუფებმა შეძლეს „დაეშის“ რიგებში მებრძოლი ტერორისტების გარკვეული ნაწილის გადაბირება, თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, სირიაში კრიტიკული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ.

გასული წლების მსგავსად, აქტიურად ხორციელდებოდა ტერორისტული თავდასხმები. ზემოაღნიშნული ჯგუფებისა და ორგანიზაციების ძირითად სამიზნეს წარმოადგენდა ახლო აღმოსავლეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპის ქვეყნები, ასევე ფიქსირდებოდა თავდასხმები აფრიკის კონტინენტსა და აზიაში. თავდასხმების პროცესში აქტიურად ხორციელდებოდა ე.წ. მარტოხელა მგლებისა და თვითრადიკალიზებული პირების/პირთა ჯგუფების გამოყენება.

გასული წლის განმავლობაში, მსოფლიოში მნიშვნელოვნად გააქტიურდნენ ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული ჯგუფები. ამ მიმართულებით რადიკალიზებული

პირები აანონსებდნენ და ახორციელებდნენ თავდასხმებს ეთნიკურ, რელიგიურ, რასობრივ და სხვა ნიადაგზე.

აღნიშნული საფრთხეების საპასუხოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური 2019 წლის განმავლობაში აქტიურად ახდენდა საერთაშორისო ტერორიზმიდან მომდინარე საფრთხეების იდენტიფიცირებას, ახალი გამოწვევების გამოვლენას და ინტენსიურად მოქმედებდა ტერორიზმის პრევენციისა და საფრთხესთან გამკლავების გზების გაუმჯობესების მიმართულებით.

კონკრეტული ღონისძიებების გარდა, ინტენსიურად ხორციელდებოდა ტერორისტულ საფრთხეებზე რეაგირების შესაძლებლობების გაძლიერება, ინფორმაციის გაცვლის მიზნით საერთაშორისო პარტნიორებთან აქტიური თანამშრომლობა. მიმდინარეობდა მუშაობა მაღალი რისკის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების უსაფრთხოების ზომების შეფასების, სახელმწიფო სტრატეგიული ობიექტების პასპორტიზაციისა და რისკების ანალიზის მიმართულებით. აქტიურად ხორციელდებოდა ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლების მომზადება/გადამზადება.

სახელმწიფოს მიერ ტერორიზმსა და ექსტრემიზმთან ბრძოლის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები დადებითად არის შეფასებული ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშში. დოკუმენტში ხაზგასმულია საქართველოს შესაძლებლობები და მზაობა, გამოავლინოს, შეაკავოს და რეაგირება მოახდინოს ტერორიზმთან დაკავშირებულ შემთხვევებზე. ანგარიშის თანახმად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, როგორც ტერორიზმთან დაკავშირებულ ინციდენტებზე რეაგირებისა და გამოძიების წამყვანი უწყება, არის კარგად აღჭურვილი და მომზადებული.

საქართველოს მიერ ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში გაწეული ძალისხმევა და განხორციელებული აქტივობები ასევე პოზიტიურად არის შეფასებული ასოცირების შეთანხმების შესრულების შესახებ ევროკავშირის ყოველწლიურ ანგარიშში. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველო განაგრძობდა „დაეშის“ წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური კოალიციის აქტიურ მხარდაჭერას.

ამასთან, მნიშვნელოვანია „ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტის“ მიერ გამოქვეყნებული ყოველწლიური ანგარიში „გლობალური ტერორიზმის ინდექსი“, რომლის მიხედვით, საქართველო ტერორიზმის ზეგავლენის კუთხით ძალიან დაბალი რისკის მქონე ქვეყნებს შორისაა.

საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები და მათგან მომდინარე საფრთხეები

„დაეში“

2019 წელს „დაეშმა“, როგორც ტერიტორიულმა წარმონაქმნმა არსებობა შეწყვიტა. დაკავებულ იქნა ტერორისტული ორგანიზაციის რამდენიმე ათასი მებრძოლი, ტერორისტების

გარკვეულმა ნაწილმა კი გაქცევა მოახერხა. ტერიტორიული მარცხის პარალელურად, „დაეშმა“ დანაკარგები განიცადა მეთაურთა და მებრძოლთა რიგებში.

2019 წლის ოქტომბერში, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ორგანიზაციის ლიდერის **აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის** წინააღმდეგ სირიაში ოპერაცია განახორციელა, რა დროსაც ამ უკანასკნელმა თვითლიკვიდაცია მოახდინა. ტერორისტული ორგანიზაციის ახალ ლიდერად **ამირ მუჰამად საიდ აბდალ-რაჰმან-ალ-მავლა (აბუ იბრაჰიმ ალ-ჰაშიმი ალ-ყურეიში)** გამოცხადდა.

აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის ლიკვიდაციამ მნიშვნელოვნად დააზიანა „დაეშის“ შესაძლებლობები. მიუხედავად იმისა, რომ მისი შემცვლელი მალევე დასახელდა, ნაკლებად სავარაუდოა, საკუთარი ავტორიტეტით და გავლენით მან სრულყოფილად შეძლოს **ალ-ბაღდადის** ჩანაცვლება. ფაქტია, რომ გასული წლის განმავლობაში, განსაკუთრებით კი **ალ-ბაღდადის** ლიკვიდაციის შემდეგ, სახეზე იყო ტერორისტული ორგანიზაციის მხარდამჭერებისა და მებრძოლების გადინება „ალ-ქაიდას“ რიგებში.

მთლიანობაში, გასული წლის მანძილზე „დაეშის“ მხარდამჭერებს შორის შეინიშნებოდა არაკოორდინირებულობა და გარკვეული ნიჰილიზმი იმ იდეების მიმართ, რომლის დახმარებითაც ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერებმა რამდენიმე წლის წინ უპრეცედენტო შესაძლებლობების ტერორისტული ორგანიზაციის ჩამოყალიბება შეძლეს.

კოალიციური ძალების წარმატებისა და ტერორისტული ორგანიზაციის მიერ განცდილი მარცხის მიუხედავად, „დაეში“ კვლავ რჩება გლობალურ გამოწვევად. ორგანიზაცია მხარდამჭერებს ახალ რეალობებზე მორგებულ ნარატივს სთავაზობს და მათ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ტერაქტების განხორციელებისკენ მოუწოდებს.

კრიტიკულად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ტერორისტულ ორგანიზაციას ათასობით მხარდამჭერი ჰყავს, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იმყოფებიან და შესაბამისი მითითების შემთხვევაში, ტერაქტების განხორციელება შეუძლიათ.

„ალ-ქაიდა“

2019 წლის განმავლობაში „ალ-ქაიდა“ აგრძელებდა აქტიურ მოქმედებას. ორგანიზაციის რეგიონალური დანაყოფების სამოქმედო არეალი, ძირითადად, ახლო აღმოსავლეთის რეგიონითა და აფრიკის კონტინენტით შემოიფარგლებოდა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთის ქვეყნები კვლავ წარმოადგენდა „ალ-ქაიდას“ მთავარ სამიზნეს. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა ტერორისტულ თავდასხმებს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში.

„დაეშის“, როგორც ტერიტორიული წარონაქმნის განადგურების შემდეგ, ტერორისტული ორგანიზაციის მებრძოლთა გარკვეულმა რაოდენობამ „ალ-ქაიდას“ რიგები შეავსო.

„ალ-ქაიდასთან“ დაკავშირებული დაჯგუფება „ჰაიათ თაჰრირ ალ-შამი“ მოქმედებდა ჩრდილო-დასავლეთ სირიაში, სადაც ექსტრემისტებისა და ოპოზიციის წინააღმდეგ **ბაშარ ასადის** ძალებისა და რუსეთის ავიაციის სამხედრო ოპერაცია აქტიურად მიმდინარეობდა. რუსეთისა და **ასადის** ძალების მიერ წარმოებულმა მასშტაბურმა სამხედრო ოპერაციამ ტერორისტული ორგანიზაციის მხარდამჭერებისა და ოპოზიციური ძალების გაერთიანება განაპირობა, აღნიშნულმა მათი ბრძოლისუნარიანობა გაზარდა, შედეგად კი სირიაში ამ დრომდე გრძელდება სამხედრო დაპირისპირება.

გაერთიანების მიუხედავად, **ბაშარ ასადი** და მისი მოკავშირეები საკუთარ პოზიციებს აუმჯობესებენ. მიმდინარე მასშტაბური სამხედრო ოპერაციის გაგრძელების შემთხვევაში, ჩრდილო-დასავლეთ სირიაში „ალ-ქაიდა“ და მისი მხარდამჭერი ჯგუფები, დიდი ალბათობით, დამარცხდებიან.

„დაეშისგან“ განსხვავებით, „ალ-ქაიდას“ მმართველობის სისტემაში ტერიტორიული კონტროლი კრიტიკულად მნიშვნელოვან როლს არ თამაშობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სირიაში განვითარებული პროცესების მიუხედავად, იგი, სავარაუდოდ, კვლავ შეინარჩუნებს შესაძლებლობებს და ცივილიზებული სამყაროსთვის მნიშვნელოვან გამოწვევად დარჩება.

საქართველოსთვის „დაეშისა“ და „ალ-ქაიდას“ მხრიდან მომდინარე შესაძლო საფრთხეები და გამოწვევები:

- სირიასა და ერაყში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში, „დაეშისა“ და „ალ-ქაიდას“ რიგებში მონაწილე საქართველოს მოქალაქეების ქვეყანაში შესაძლო დაბრუნება;
- ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერი უცხო ქვეყნის მოქალაქეების საქართველოში შემოსვლის ან/და ქვეყნის ტრანზიტულად გამოყენების მცდელობა;
- ტერორისტული ორგანიზაციების მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე პირთა გადაბირების მცდელობა;
- საქართველოდან ტერორისტული ორგანიზაციებისთვის, ასევე საქართველოში ამავე ორგანიზაციების შესაძლო მხარდამჭერებისთვის ფინანსური ან სხვა სახის მხარდაჭერის აღმოჩენის მცდელობა;
- აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაციების შესაძლო მხარდამჭერების მიერ საქართველოში ტერორისტული თავდასხმის განხორციელების მცდელობა.

„თალიბანი“

გასულ წელს პოზიციები გაიმყარა ტერორისტულმა ორგანიზაცია „თალიბანმა“. დაჯგუფების მებრძოლები აქტიურად უპირისპირდებოდნენ როგორც ავღანეთის მოქმედ ხელისუფლებას, ისე რეგიონში წარმოდგენილ „დაეშის“ დანაყოფებს. ორივე ფლანგზე მიმდინარე დაპირისპირება „თალიბანის“ უპირატესობით წარიმართა. შეტაკებებისა და ტერორისტული თავდასხმების გამოყენებით ორგანიზაციამ შეძლო „დაეშის“ ადგილობრივ დანაყოფზე

უპირატესობის მოპოვება, ხოლო ავღანეთის ხელისუფლება მისთვის მისაღებ მოლაპარაკებების პროცესში ჩართო.

ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და „თალიბანს“ შორის მიმდინარე მოლაპარაკებები, რომლის მთავარ პირობას აშშ-ის მიერ ავღანეთიდან ძალების გაყვანა და „თალიბანის“ მიერ ქვეყნის ტერიტორიის საერთაშორისო ტერორისტული მიზნებისთვის გამოყენებაზე უარის თქმა წარმოადგენს. „თალიბანის“ მიერ განხორციელებული ტერორისტული თავდასხმებიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული სამშვიდობო პროცესი გარკვეული შეფერხებებით მიმდინარეობდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და „თალიბანს“ შორის მიღწეული შეთანხმების ჩაშლის საფრთხე. პროცესის ერთ-ერთი მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორია უშუალოდ „თალიბანში“ არსებული, ერთმანეთისაგან განსხვავებული დინებები და აშშ-თან გაფორმებული შეთანხმების მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება. მოვლენათა მსგავსი სცენარით განვითარების შემთხვევაში, სავარაუდოდ, აშშ-ის მიერ სამხედრო კონტინგენტის შემცირებით შექმნილი ვაკუუმით ტერორისტული ორგანიზაცია ისარგებლებს, რამაც ქვეყნის ხელისუფლებას, შესაძლოა, მნიშვნელოვანი სირთულეები შეუქმნას.

„თალიბანი“ წლების განმავლობაში ავღანეთში მოქმედ ყველაზე ძლიერ ტერორისტულ ორგანიზაციას წარმოადგენს. 2014-2016 წლებში, როდესაც „დაეშმა“ თითქმის ყველა საერთაშორისო და რეგიონალური ტერორისტული ორგანიზაცია შეავიწროვა ან/და დაიქვემდებარა, „თალიბანთან“ დაპირისპირებაში წარმატებას ვერ მიაღწია.

- საქართველოსთვის „თალიბანის“ მხრიდან მომდინარე საფრთხეები, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს „თალიბანის“ მიერ ავღანეთში, ნატო-ს „მტკიცე მხარდაჭერის მისიის“ ფარგლებში დისლოცირებულ საქართველოს თავდაცვის ძალებზე ტერორისტული თავდასხმების განხორციელების შესაძლებლობას.

აღნიშნულის ნათელი მაგალითია 2019 წლის დეკემბერში, ბაგრამის ავიაბაზაზე „თალიბანის“ მიერ განხორციელებული თავდასხმა, რომელიც მსხვერპლის გარეშე დასრულდა, თუმცა მსუბუქად დაშავდა ადგილზე მყოფი 5 ქართველი სამხედრო.

საქართველოს წინაშე არსებული ტერორისტული საფრთხეები და გამოწვევები

სირიასა და ერაყში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში „დაეშისა“ და „ალ-ქაიდას“ რიგებში მონაწილე საქართველოს მოქალაქეების ქვეყანაში შესაძლო დაბრუნება

განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს სირიისა და ერაყის ტერიტორიაზე მყოფი ტერორისტული ორგანიზაციის შესაძლო მხარდამჭერი ან/და მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე საქართველოს მოქალაქეების ქვეყანაში დაბრუნება.

ამ მომენტისთვის სირიის ტერიტორიაზე იმყოფება საქართველოს 15-მდე მოქალაქე. არსებული ინფორმაციით, მათი დიდი ნაწილი განთავსებულია ქურთული ძალების მიერ კონტროლირებად ბანაკებში, ხოლო მცირე ნაწილი აგრძელებს სირიის ჩრდილო-დასავლეთით, იდლიბის ტერიტორიაზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობას. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, გასული წლის განმავლობაში სირიაში საქართველოს მოქალაქეების დაღუპვის ფაქტები არ დაფიქსირებულა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სირიაში შექმნილი უკონტროლო ვითარების, ასევე, **ბაშარ ასადის** ხელისუფლებასთან დიპლომატიური ურთიერთობების არქონის გათვალისწინებით, ადგილზე დაღუპული საქართველოს მოქალაქეების შესახებ ზუსტი ინფორმაციის მოძიება მნიშვნელოვან სირთულეებთან არის დაკავშირებული.

2019 წლის განმავლობაში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ხორციელდებოდა ტერორისტულ ორგანიზაციაში მონაწილეობის ბრალდებით კონკრეტული პირების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, ხოლო სხვა პირთა მიმართ დამატებითი მტკიცებულებების მოპოვება.

მებრძოლთა მეუღლეებისა და ბავშვების საქართველოში დაბრუნების საკითხის მიმართ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიდგომა ეფუძნება საერთაშორისო პრაქტიკას და ყველა შემთხვევას განიხილავს ინდივიდუალურად. სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არარსებობის შემთხვევაში, სამსახური მხარს უჭერს აღნიშნული პირების მიმართ, სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ჩართულობით, შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. მსგავსი მიდგომა დაფიქსირებულია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნულ სტრატეგიაშიც.

<u>ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერი უცხო ქვეყნის მოქალაქეების საქართველოში შემოსვლა ან/და ქვეყნის ტრანზიტულად გამოყენების მცდელობა</u>

საქართველოსთვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს ქვეყნის ტერიტორიის ტრანზიტულად გამოყენების მცდელობა ან/და ქვეყნის ტერიტორიაზე ისეთ პირთა შემოსვლა, რომლებიც ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერები არიან.

პირთა დიდმა ნაწილმა, რომელიც ჩართული იყო სირიასა და ერაყში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში, დატოვა აღნიშნული რეგიონი. ისინი სხვადასხვა ქვეყნის გამოყენებით ცდილობდნენ კონკრეტულ სახელმწიფოებში მოხვედრას. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კოორდინირებით მაქსიმალურად კონტროლდებოდა აღნიშნული პირების მიერ ქვეყნის სატრანზიტო მიზნით შესაძლო გამოყენების არხები. 24/7 ფორმატში, საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო და დროული კოორდინაციით, იზღუდებოდა აღნიშნული დერეფნების გამოყენების შესაძლებლობა. მეთვალყურეობას ექვემდებარებოდა მარშრუტები და არხები, რომლებიც, შესაძლოა, ქვეყნის ტერიტორიაზე არალეგალურად შემოსვლისთვის ყოფილიყო გამოყენებული.

საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში მოხდა ერთიანი საინფორმაციო ბაზების განახლება, რამაც ეფექტური გახადა ქვეყანაში შესვლისა და ქვეყნიდან გასვლის არხების მონიტორინგი. პარტნიორი ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან ერთად, მუშავდებოდა ტერორიზმთან დაკავშირებული ან შესაძლო კავშირის მქონე პირთა სიები. აღნიშნულის შედეგად გასული წლის განმავლობაში იდენტიფიცირდა და შესაბამისი კონტროლი დაწესდა სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე რამდენიმე ათას პირზე.

ტერორისტული ორგანიზაციების მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე პირთა გადაბირების მცდელობა

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის ტერორისტული იდეოლოგიის გავრცელებისა და პირთა გადაბირების ძირითად საშუალებას ინტერნეტ-სივრცე წარმოადგენს. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ აქტიურად მიმდინარეობდა ინტერნეტით გაკეთებული ისეთი განცხადებებისა და მასალების მონიტორინგი, რომლებიც, შესაძლოა, კავშირში ყოფილიყო ტერორისტულ ან/და ექსტრემისტულ ნარატივთან.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოში ექსტრემისტული იდეების გამავრცელებელი აქტიური კერები არ დაფიქსირებულა. ამავე პერიოდში არ გამოვლენილა ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში საქართველოს მოქალაქეების გამგზავრების ფაქტები.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ, სხვა უწყებებთან თანამშრომლობით, ხდებოდა იმ პირთა გამოვლენა, რომლებიც შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყვნენ ტერორისტული იდეების გავრცელებასა და პირთა რადიკალიზაციასთან. აღნიშნული მოქალაქეების მიმართ ტარდებოდა შესაბამისი პრევენციული და სხვა სამართლებრივი ღონისძიებები.

საქართველოში გადაბირებისა და ტერორისტული იდეოლოგიის გავრცელების მიმართულებით არსებული სრული სურათის გაანალიზებისთვის, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სახელმწიფოს მიერ გასული წლების განმავლობაში მიღებული ზომები, მათ შორის გადამბირებლებისა და ტერორიზმის მხარდამჭერი პირების დაკავების ფაქტები. აღნიშნულმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დღეისათვის ამ მხრივ ქვეყანაში არსებული კონტროლირებადი გარემოს ჩამოყალიბებაში.

საქართველოდან ტერორისტული ორგანიზაციებისთვის, ასევე საქართველოში ამავე ორგანიზაციების შესაძლო მხარდამჭერებისთვის ფინანსური ან სხვა სახის მხარდაჭერის აღმოჩენის მცდელობა

საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლისას, პრიორიტეტი ენიჭებოდა ტერორისტული აქტივობების შესაძლო დაფინანსების ან სხვაგვარი მხარდაჭერის მცდელობის იდენტიფიცირების მიზნით გატარებულ ღონისძიებებს. აღნიშნულის ფარგლებში აქტიურად

მიმდინარეობდა სახელმწიფო უწყებებთან და პარტნიორ ქვეყნებთან ეფექტური თანამშრომლობა.

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ტერორიზმთან შესაძლო დაკავშირებული სხვადასხვა ფინანსური ოპერაციების მონიტორინგს და ამ მიმართულებით პრევენციული ღონისძიებების გატარებას. ამასთან, მუდმივად მიმდინარეობდა ტერორიზმის დაფინანსების უახლესი მეთოდების და ტენდენციების კვლევა.

2019 წელს სახელმწიფომ, შესაბამისი უწყებების ჩართულობით, მიიღო „საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ანგარიში" (NRA) და მისი სამოქმედო გეგმა. აღნიშნული დოკუმენტის მეოთხე თავში შეფასებული და გაანალიზებულია ქვეყანაში ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებით არსებული რისკები. ანგარიშის მიხედვით, საქართველო განეკუთვნება იმ ქვეყანათა რიცხვს, სადაც ტერორიზმის დაფინანსების რისკი დაბალია.

ტერორიზმის შესაძლო დაფინანსების აღმოჩენის მიზნით, აქტიურად ხდებოდა როგორც ოპერატიული, ისე საგამოძიებო მექანიზმების გამოყენება. საანგარიშო პერიოდში კონკრეტული საფინანსო ოპერაციები არაერთხელ გახდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დეტალური შესწავლის საგანი. ამ ეტაპზე ქვეყანაში, ან ქვეყნიდან ტერორიზმის ფინანსური მხარდაჭერის ფაქტები არ ფიქსირდება.

ტერორისტული ორგანიზაციების შესაძლო მხარდამჭერების მიერ საქართველოში ტერორისტული თავდასხმის განხორციელების მცდელობა

გატარებული ღონისძიებების შედეგად, საქართველოში მყოფი ტერორიზმის შესაძლო მხარდამჭერი პირებისა და პირთა ჯგუფების შესაძლებლობები მნიშვნელოვნად შესუსტდა. აღნიშნულ მოქალაქეებს და მათ ჯგუფებს არ ეძლეოდათ ორგანიზაციული ქსელის ჩამოყალიბების, აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების შესაძლებლობა.
სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად გატარებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად, ტერორისტული ორგანიზაციების შესაძლო მხარდამჭერთა რაოდენობა საქართველოში კრიტიკულად შემცირდა და ამ მხრივ ქვეყანაში მშვიდი, დაბალანსებული და კონტროლს დაქვემდებარებული გარემო შეიქმნა.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად მუშაობდა საქართველოში ტერორიზმთან დაკავშირებული საფრთხეების გამოვლენის მიმართულებით. ქვეყანაში ტერორისტული თავდასხმა არ განხორციელებულა.

სამსახური ახორციელებდა სხვადასხვა საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციის პოტენციური და შესაძლო მხარდამჭერების, ასევე, ტერორისტული ორგანიზაციების იდეების გამზიარებელი პირებისა და პირთა ჯგუფების ოპერატიულ კონტროლს.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოში მყოფი ტერორისტული იდეოლოგიის შესაძლო მხარდამჭერი უცხო ქვეყნის მოქალაქეები. აღნიშნული პირები საქართველოში სხვადასხვა ოფიციალური მიზეზით, მათ შორის, განათლების მისაღებად ჩამოდიოდნენ, თუმცა მოგვიანებით მათი მხრიდან ფიქსირდებოდა სხვადასხვა სახის უკანონო აქტივობებში ჩართვის მცდელობა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ კანონის შესაბამისად გატარებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად ქვეყანა დატოვა ზემოხსენებულ აქტივობებში შემჩნეულმა უცხო ქვეყნის რამდენიმე მოქალაქემ. აღნიშნულ პროცესში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან ერთად მონაწილეობას იღებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

დღეისათვის ტერორიზმის იდეების გამზიარებელი და შესაძლო მხარდამჭერი პირებისთვის საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნა ხელსაყრელი არ არის. ისინი დაბრკოლებებს აწყდებიან საქმიანობის ყველა ეტაპზე, მათ შორის, პრევენციული ღონისძიებების გამოყენებით ხდება ისეთი აქტივობების შეკავება, რომელიც პოტენციურად, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს ტერორისტულ საქმიანობასთან.

სისხლის სამართლის საქმეები

სისხლის სამართლის კოდექსის ტერორიზმის თავით გათვალისწინებული მუხლებით, 2019 წელს გამოძიება მიმდინარეობდა როგორც გასულ წლებში, ისე საანგარიშო პერიოდში დაწყებულ სისხლის სამართლის 14 საქმეზე.

საგულისხმოა, საქართველოსა და უკრაინის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურების თანამშრომლობისა და ამერიკელი პარტნიორების ჩართულობით ქ. კიევში, ტერორისტულ ორგანიზაციაში მონაწილეობის ბრალდებით, საქართველოს მიერ ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი საქართველოს მოქალაქე **ცეზარ ტოხოსაშვილის (ალ ბარა ალ-შიშანი)** დაკავების ფაქტი. 2019 წლის 6 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ **ცეზარ ტოხოსაშვილს** აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ 2014 წელს **ცეზარ ტოხოსაშვილი** სირიის არაბთა რესპუბლიკაში გაემგზავრა და ადგილზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში ჩაერთო. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ 2015 წელს **ცეზარ ტოხოსაშვილი** ტერორისტული ორგანიზაცია „დაეშის" რიგებში გაწევრიანდა. მას ახლო ურთიერთობა აკავშირებდა ზემოაღნიშნული ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერებთან: **თარხან ბათირაშვილთან, ისლამ ატაბიევთან და აჰმედ ჩატაევთან.**

ოკუპირებული ტერიტორიები

საქართველოსთვის კვლავ საფრთხეს წარმოადგენდა რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები. უსაფრთხოების კუთხით მრავალი რისკებისა და

საფრთხეების პარალელურად ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი ტერორისტული საფრთხის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგია

2019 წლის იანვარში საქართველოს მთავრობამ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგია დაამტკიცა. დოკუმენტი საქართველოს მთავრობის დადგენილებით შექმნილმა უწყებათაშორისმა მუდმივმოქმედმა კომისიამ მოამზადა. კომისიას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური თავმჯდომარეობს და მის შემადგენლობაში არის ყველა რელევანტური სახელმწიფო უწყება.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნულ სტრატეგიაში წარმოდგენილია ტერორიზმისა და ექსტრემიზმის კუთხით ქვეყნის წინაშე მდგარი საფრთხეები და გამოწვევები, ასევე, მათთან გამკლავების მიმართულებით სახელმწიფოს ერთიანი ხედვა, მისი მიზნები და ამოცანები. სტრატეგია სამწლიანია და მისი განხორციელების მიზნით ასევე შემუშავდა შესაბამისი სამოქმედო გეგმა.

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის თავმჯდომარეობით გაიმართა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი და შესრულების მონიტორინგის განმახორციელებელი უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომისიის მესამე სხდომა. სხდომის ფარგლებში გაიმართა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგიის 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმის 2019 წლის შესრულების თაობაზე ანგარიში-პრეზენტაცია. კომისიის წევრები გაეცნენ ინფორმაციას იმპლემენტაციის პროცესის, მიღწეული შედეგებისა და არსებული გამოწვევების შესახებ. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესის პირველი წელი კომისიის წევრების მიერ დადებითად შეფასდა.

აღსანიშნავია, რომ როგორც სტრატეგიის ამოცანების შესრულების, ასევე ზოგადად კონტრტერორისტული მიმართულებით აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობდა სამოქალაქო სექტორთან.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას, როგორც ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებით, ასევე პრევენციული ღონისძიებების გამოყენებით. საჯარო უწყებებში კორუფციის არსებობა ასუსტებს სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობას, აფერხებს დემოკრატიულ განვითარებას, ხელს უშლის სახელმწიფო ინსტიტუტების გამართულ ფუნქციონირებასა და ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას. ამასთან, შესაძლებელია კორუფციაში ჩართული საჯარო მოხელეები წარმოადგენდნენ სხვადასხვა

დანაშაულებრივი ჯგუფის ან/და უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ინტერესის ობიექტებს, შესაბამისად, ეროვნული უსაფრთხოების დაცვისა და კორუფციის აღმოფხვრის მიზნით მნიშვნელოვანია დროული, ეფექტიანი და პრევენციაზე დამყარებული ღონისძიებების განხორციელება.

საანგარიშო პერიოდში კორუფციის პრევენციის ხელშეწყობის მიზნით სამსახური მთავარ აქცენტს აკეთებდა ანტიკორუფციული სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერებაზე, პრევენციული და პროაქტიული ანტიკორუფციული სამართალდაცვითი მექანიზმების, მათ შორის საჯარო სექტორში კორუფციის გამოვლენის და მისი პრევენციის ეფექტური ხერხებისა და აღსრულების სისტემის განვითარების კუთხით.

აღნიშნული მიზნით მნიშვნელოვნად გაძლიერდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს ინსტიტუციური შესაძლებლობები.

2019 წელს სააგენტოს შემადგენლობაში შეიქმნა კორუფციის პრევენციის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს კორუფციის აცილება/გამოვლენის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას, საჯარო სექტორში კორუფციის რისკების ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას, სააგენტოს საგამოძიებო სტატისტიკური მონაცემების ანალიზსა და დამუშავებას, რის საფუძველზეც ხდება კორუფციისთვის მოწყვლადი ჯგუფებისა და სფეროების იდენტიფიცირება და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება. კორუფციის პრევენციის სამსახური ახდენს საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ გამოყენებასთან დაკავშირებული შესაძლო კორუფციის რისკების შეფასებას და აღნიშნული რისკების შემცირება/აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

2019 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური უზრუნველყოფდა კორუფციის პრევენციის საკითხებზე საერთაშორისო გამოცდილების შესწავლას, ნორმატიული აქტების პროექტების ანტიკორუფციული კუთხით ანალიზსა და შესაბამისი წინადადებების შემუშავებას, ასევე ანტიკორუფციული მიმართულებით ჩატარებული ღონისძიებების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობას.

საჯარო სექტორში კორუფციის პრევენციის თვალსაზრისით, სამსახურისთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს კორუფციულ დანაშაულებზე ცნობიერების ამაღლება და ამ მიზნით სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში საინფორმაციო შეხვედრების გამართვა. აღნიშნული შეხვედრების მთავარი მიზანია სახელმწიფო ორგანოების ან/და თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლებისთვის ინფორმაციის მიწოდება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებზე, ამ ბრძოლაში კორუფციის პრევენციის როლსა და მათი ჩართულობის მნიშვნელობაზე.

აღნიშნული მიზნითა და საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმით, სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული ამოცანების შესრულების ხელშეწყობისთვის საანგარიშო პერიოდში შეიქმნა

შიდაუწყებრივი სამუშაო ჯგუფი, რომლის ინტენსიური მუშაობის შედეგად შემუშავდა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან საინფორმაციო შეხვედრების პროექტი, განისაზღვრა სამიზნე ჯგუფები, თემატიკა და დაიგეგმა შემდგომი შეხვედრების ორგანიზება.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, როგორც ქვეყანაში კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი ერთ-ერთი უწყების მიერ 2019 წლის განმავლობაში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 91 საქმეზე, ხოლო ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ იქნა 135 პირი, მათ შორის ქრთამის აღების, ქრთამის მიცემის, სამსახურებრივი გულგრილობის, თაღლითობის, უკანონო სამეწარმეო საქმიანობისა და სხვა ფაქტებზე.

გატარებული ღონისძიებების ფარგლებში დაკავებულია არაერთი საჯარო მოხელე, მათ შორის, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე დაკავებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, რომელმაც უცხოელ ბიზნესმენს ქ. წყალტუბოში მდებარე საკრებულოს ყოფილი შენობის აუქციონზე გატანისა და შესყიდვაში დახმარების სანაცვლოდ ქრთამის სახით 250 000 ლარი გამოართვა.

გარდა ამისა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე, დაკავებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ვაკის რაიონის გამგებლის მოადგილე, ასევე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის მოთხოვნისა და აღების ფაქტზე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით, ქრთამის აღების ფაქტზე დაკავებული იქნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ აჭარის რეგიონალური სამმართველოს უფროსი.

ასევე, ქრთამის აღების ფაქტზე დაკავებულ იქნენ - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის კახეთის რეგიონალური სამმართველოს სწრაფი რეაგირებისა და პატრულირების განყოფილების უფროსი და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის განყოფილების უფროსი.

სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ იქნა საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი. გარდა ამისა, საფეხბურთო მატჩების ჩაწყობის ფაქტზე, ბრალდებულის სახით დაკავებულ იქნა 8 მოქმედი და 3 ყოფილი ფეხბურთელი.

ამასთან, საანგარიშო პერიოდში, უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტზე ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ იქნა საქართველოში მცხოვრები ირანის ისლამური რესპუბლიკის 8 მოქალაქე, რომლებმაც აღნიშნული საქმიანობის შედეგად განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავალი მიიღეს.

სამართლებრივი ბაზის განვითარება და სასამართლოებთან ურთიერთობა

კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელებისას, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სამართლებრივი ბაზის სრულყოფას. 2019 წელს შემუშავდა და გამოიცა 202 ახალი სამართლებრივი აქტი. ამავე დროს, სამსახურმა საკუთარი პოზიცია დააფიქსირა სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ მომზადებულ 267 სამართლებრივი აქტის პროექტზე.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ან/და მისი აქტიური ჩართულობით შემუშავდა სამსახურთან დაკავშირებული მთელი რიგი რეგულაციები სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის: ცვლილებები განხორციელდა სამსახურში მოქმედი დროებითი მოთავსების იზოლატორის მარეგულირებელ კანონმდებლობაში. იზოლატორში განთავსებულ პირთა უფლებების დაცვის მიზნით დადგინდა უფრო მაღალი სტანდარტები, განისაზღვრა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის იზოლატორში შესვლის უფლება და ინფორმაციის დროული მიწოდების პროცედურები.

ასევე, 2019 წელს ცვლილებები იქნა შეტანილი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა შერჩევის პროცედურებში, მათ შორის სავალდებული გახდა კანდიდატის ტესტირება და კომისიური წესით შერჩევა. ცვლილებები შევიდა სამსახურის გავლის წესშიც, რომლის თანახმად, გაიზარდა გამომძიებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე განისაზღვრა შრომის უსაფრთხოების მარეგულირებელი შესაბამისი ნორმები, რომლებიც მოიცავს როგორც პრევენციას ამ მიმართულებით, ასევე შესაბამისი კონტროლის მექანიზმებს.

ამავე დროს, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა რიგი სტრუქტურული და ინსტიტუციური რეფორმები. სამსახურის დებულებაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, გაიმიჯნა და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ხორციელდება საჯარო ინფორმაციის გაცემა და საჩივრების განხილვა. ასევე, სამსახურში შეიქმნა ახალი სტრუქტურული დანაყოფი სასწავლო ცენტრის სახით, როგორც სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება.

2019 წელს ცვლილებები განხორციელდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი და შესრულების მონიტორინგის განმახორციელებელი უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობასა და დებულებაში, რომლის მიხედვით, აღნიშნულ კომისიას უკვე თავად სამსახურის უფროსი ხელმძღვანელობს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ნორმატიული ბაზის სრულყოფისას გარკვეული ნაწილი საიდუმლო ნორმატიული აქტების გამოცემას უკავია. აღსანიშნავია, რომ სამსახურმა ნდობის ჯგუფს, პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, პროაქტიულ რეჟიმში გასაცნობად

გაუგზავნა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული 14 საიდუმლო ნორმატიული აქტი.

საანგარიშო პერიოდში ასევე მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობა საქართველოს საერთო სასამართლოებთან ურთიერთობის/წარმომადგენლობის კუთხით. შესაბამისი განჩინების საფუძველზე, საერთო სასამართლოებს სამსახურის მიერ შეუფერხებლად მიეწოდათ საქმეების განხილვისათვის საჭირო საიდუმლო და არასაიდუმლო ინფორმაცია/მტკიცებულებები. 2019 წელს საერთო სასამართლოებში გაიგზავნა 1428 ინფორმაცია/მტკიცებულება, დამუშავდა სასამართლოებიდან შემოსული 720-ზე მეტი დოკუმენტი. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მონაწილეობა მიიღო 29 სასამართლო საქმის განხილვაში.

პერსონალურ მონაცემთა დაცვა, ზედამხედველობა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას სამსახურის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კომპონენტს.

ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა სახელმწიფო ინსპექტორთან და მისი უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელებისთვის უზრუნველყოფდა ყველა აუცილებელი პირობის შექმნას.

2019 წელს სახელმწიფო ინსპექტორმა განახორციელა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დროებითი მოთავსების იზოლატორის შემოწმება. აღნიშნულ პერიოდში სამსახურის მხრიდან ინსპექტორს შეუფერხებლად მიეწოდებოდა კანონმდებლობის შესაბამისად გამოთხოვნილი ინფორმაცია. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სამსახურის მხრიდან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

სახელმწიფო ინსპექტორის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში ასევე განხორციელდა სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს საქმიანობის შემოწმება. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში სააგენტოს საქმიანობა ინსპექტირებას დაექვემდებარა ექვსჯერ. ამათგან ორი ინსპექტირება ატარებდა გეგმაზომიერ, ხოლო ოთხი - არაგეგმაზომიერ ხასიათს. ინსპექტირების განხორციელებისას სახელმწიფო ინსპექტორის აპარატის წარმომადგენლებს ჰქონდათ შესაძლებლობა შესულიყვნენ სააგენტოს შეზღუდული დაშვების არეალებში და მიმდინარე რეჟიმში დაკვირვებოდნენ სააგენტოს საქმიანობას, გაცნობოდნენ მისი საქმიანობის მარეგულირებელ (მათ შორის, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ) სამართლებრივ დოკუმენტებს და ტექნიკურ ინსტრუქციებს.

ასევე, სააგენტოს საქმიანობას სახელმწიფო ინსპექტორი აკონტროლებს კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემების გამოყენებით, რომლებიც საშუალებას აძლევენ მას რეალურ დროში გააკონტროლოს სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების, ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს საქმიანობას რამდენიმე სახელმწიფო ინსტიტუტი ზედამხედველობს, მათ შორის, ხორციელდება საპარლამენტო, პრემიერ-მინისტრის, სასამართლოს, პროკურატურისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის კონტროლი.

სააგენტომ საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის ნდობის ჯგუფისთვის წარსადგენად მოამზადა გაწეული საქმიანობის წლიური ანგარიში, რომელიც მოიცავს 2019 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 1 იანვრამდე პერიოდს.

2019 წელს ეფექტურად იყო გამოყენებული მოსამსახურეთა საქმიანობის შიდა კონტროლის მექანიზმები. გასული წლების მსგავსად, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა თანამშრომელთა საქმიანობის პროცესში კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების, მაღალი პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დაცვას.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალური ინსპექციის მიერ გამოვლინდა დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენის ფაქტები და განხორციელდა სათანადო რეაგირება. 195 შიდა სამსახურებრივი შემოწმებისა და მომზადებული დასკვნების საფუძველზე, სხვადასხვა დისციპლინური გადაცდომისთვის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეებს დაეკისრათ 134 დისციპლინური სახდელი, მათ შორის, სამსახურიდან დათხოვნა - 15, თანამდებობიდან ჩამოქვეითება - 3, სასტიკი საყვედური - 14, საყვედური - 15, შენიშვნა - 17 და სხვა სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.

ამავე დროს, 2019 წელს სამსახურის გენერალურ ინსპექციაში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 4 საქმეზე და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული იქნა 6 პირი.

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფდა კომპეტენციის ფარგლებში საჯარო ინფორმაციის გაცემას. 2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე უწყებაში მიღებული იქნა 67 განცხადება, რომელთაგან დაკმაყოფილდა 59, შემდგომი რეაგირებისათვის გადაიგზავნა 4 და არ დაკმაყოფილდა 4 განცხადება.

კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, 2019 წლის 10 დეკემბერს სამსახურის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული შესაბამისი ანგარიში წარედგინა საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტს. აღნიშნული ანგარიში ასევე გადაიგზავნა სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში.

საანგარიშო წლის განმავლობაში სამსახურის მხრიდან რეაგირება განხორციელდა მოქალაქეების, სხვადასხვა უწყებისა და ორგანიზაციის, მათ შორის, სახალხო დამცველის მხრიდან მიღებულ 1 597 კორესპონდენციაზე. მათ შორის, აქტიურად ხდებოდა სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებული, სამსახურთან დაკავშირების ელექტრონული გრაფის (info.ssg.gov.ge) მეშვეობით მოწოდებული ინფორმაციის დამუშავება და საერთო ჯამში, შესაბამისი რეაგირება განხორციელდა 462 ელექტრონულ განცხადებაზე. სისტემატიურ რეჟიმში ხორციელდებოდა სამსახურის ცხელ ხაზზე („123“) შემოსულ ინფორმაციაზე სათანადო რეაგირება.

აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (ssg.gov.ge) უწყების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება.

საერთაშორისო თანამშრომლობა და უწყებათაშორისი კოორდინაცია

საერთაშორისო თანამშრომლობა

არსებულ საფრთხეებსა და გამოწვევებზე სათანადო რეაგირებისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ეფექტური ფუნქციონირებისთვის უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება და მჭიდრო, მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბება სტრატეგიულ და პარტნიორ სახელმწიფოებთან, სხვადასხვა ქვეყნის შესაბამის უწყებებთან, ასევე რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. 2019 წელს გადაიდგა არაერთი ქმედითი ნაბიჯი ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში პარტნიორული ურთიერთობების კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით.

სამსახური განაგრძობდა წარმატებულ თანამშრომლობას საქართველოში აკრედიტებული სხვადასხვა ქვეყნის ატაშეებთან და დიპლომატიურ წარმომადგენლებთან. გაიმართა არაერთი შეხვედრა სტრატეგიული მოკავშირეებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მაღალი რანგის წარმომადგენლებთან, რის შედეგადაც, ცალკეულ შემთხვევებში, საფუძველი ჩაეყარა უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის ახალ პროექტებსა და ინიციატივებს.

სამართალდაცვით და უსაფრთხოების სფეროებში თანამშრომლობის სამართლებრივი ჩარჩოს გაძლიერების მიზნით, 2019 წელს სამსახურის ინიციატივით ხელი მოეწერა საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებებს კვიპროსთან და ესპანეთთან, ხოლო ძალაში შესვლის შესაბამისი პროცედურები დასრულდა ალბანეთსა და იტალიასთან გაფორმებულ მსგავსი ტიპის მთავრობათაშორის შეთანხმებებთან მიმართებაში. ანალოგიური საერთაშორისო ხელშეკრულებები დადებულია ევროკავშირსა და 24 სახელმწიფოსთან (უმეტესობა ნატო-სა და ევროკავშირის წევრი ქვეყნებია).

ამავე, დროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განისაზღვრა დანაშაულთან ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ ჩეხეთის რესპუბლიკასთან 2019 წელს ხელმოწერილი შეთანხმების

განხორციელებაზე პასუხისმგებელ ერთ-ერთ კომპეტენტურ უწყებად საქართველოს მხრიდან.

2019 წელს სამსახურის მიერ სამართლებრივი და უსაფრთხოების კუთხით ანალიზი ჩაუტარდა და შესაბამისი რეაგირება განხორციელდა 100-ზე მეტ საერთაშორისო შეთანხმების პროექტზე (მათ შორის, დანაშაულთან ბრძოლის, სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის, საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის, ასევე თავდაცვისა და სხვა სფეროებში).

ამასთან, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, შესაბამის უწყებებთან ერთად, ჩართული იყო „საქართველოსა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს შორის სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის“ შეთანხმების შემუშავების პროცესში, რომელსაც ხელი მოეწერა 2019 წლის ოქტომბერში. დოკუმენტი მოიცავს თანამშრომლობის ფართო სპექტრს და ქმნის სამართლებრივ ჩარჩოს დიდ ბრიტანეთთან სტრატეგიული პარტნიორობისთვის სხვადასხვა, მათ შორის უსაფრთხოების სფეროში.

უსაფრთხოების სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის განვითარების მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში, გაიმართა ექსპერტთა და მაღალი დონის შეხვედრები პარტნიორი ქვეყნების შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებთან როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის გარეთ. ამ მიმართულებით აღსანიშნავია თანამშრომლობა როგორც მეზობელ, ისე ნატო-სა და ევროკავშირის წევრ და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან.

ორმხრივი ურთიერთობების განმტკიცების პროცესში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო საქართველოს სტრატეგიულ მოკავშირესთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან 2019 წელს მიმდინარე მჭიდრო თანამშრომლობა. სამსახურის საქმიანობის სპეციფიკისა და ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევების გათვალისწინებით, გრძელდებოდა აქტიური მუშაობა და კოორდინაცია აშშ-ის მთავრობის შესაბამის უწყებებსა და საქართველოში აშშ-ის საელჩოსთან სხვადასხვა ფორმატში.

ამერიკელი პარტნიორების ორგანიზებით სამსახურის ათეულობით თანამშრომელმა გაიარა მომზადება/გადამზადება სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვადასხვა საკითხში. აშშ-ის მხარდაჭერით სამსახურის წარმომადგენლები ჩართული იქნენ ტერორიზმისა და უსაფრთხოების საკითხებში გრძელვადიან სამაგისტრო პროგრამებში და მონაწილეობა მიიღეს აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) ეროვნული აკადემიის სასწავლო კურსში, ასევე ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოების სწავლებათა ევროპული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში. საანგარიშო პერიოდში სამსახური ჩართული იყო საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის კომისიის თავდაცვისა და უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფის ყოველწლიურ შეხვედრაში.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ნატო-სთან თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით. საანგარიშო პერიოდში ქ. ბრიუსელში ნატო-საქართველოს კომისიის (NGC)

ფარგლებში გაიმართა სხდომა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებში სამსახურის წარმომადგენლებმა ნატო-ს წევრი ქვეყნების დელეგატებს გააცნეს ინფორმაცია სამსახურის მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ, რაც მათი მხრიდან დადებითად იქნა შეფასებული. სამსახური აქტიურად მონაწილეობდა ნატო-სთან წლიური ეროვნული პროგრამისა (ANP) და ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებში.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სამართალდაცვით და უსაფრთხოების სფეროებში ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავებას. 2019 წელს სამსახურისა და ევროკავშირის პროექტის - „საქართველოში ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ხელშეწყობა“ ორგანიზებით, მედიის წარმომადგენელთათვის გაიმართა ორდღიანი სემინარი, რომლის მიზანს წარმოადგენდა მედიის როლის განხილვა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში და აღნიშნული მიმართულებით მედიასა და სამართალდამცავ უწყებებს შორის თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება. გარდა ამისა, სამსახური ჩართული იყო ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში, ასევე, ევროკავშირის ქბრბ რისკების შემცირების გამოცდილების გაზიარების ინიციატივის (CBRN Risk Mitigation CoE) აქტივობებში, რომლის მთავარი პარტნიორი საქართველოში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურია.

ამასთან, ევროკავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოსთან (ევროპოლი) პარტნიორობის ფარგლებში, გაიმართა სამსახურის წარმომადგენელთა სამუშაო ვიზიტი ქ. ჰააგაში, რომლის ფარგლებში განხილული იქნა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის, ტერორიზმის, ფინანსური დანაშაულების, მათ შორის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით თანამშრომლობის საკითხები.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესაბამისი დანაყოფები მონაწილეობას იღებდნენ ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის, სათანადო დოკუმენტების შემუშავებისა და ანგარიშების წარდგენის პროცესში. სამსახური ჩართული იყო უსაფრთხოების საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის სტრატეგიული დიალოგის მესამე შეხვედრაში.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მხრიდან აქტიურად მიმდინარეობდა საერთაშორისო ტერორიზმთან, ასევე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის და ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროებში საქართველოს გამოცდილების შესახებ საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირება და გამოცდილების გაზიარება.

საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ჩართული იყო მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატებში. 2019 წელს სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს „ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური კოალიციის“, „ბირთვულ ტერორიზმთან ბრძოლის გლობალური

ინიციატივის“ (GICNT), ასევე გაერო-ს ფარგლებში გამართულ აქტივობებსა და სხვადასხვა რეგიონალურ თუ საერთაშორისო შეხვედრაში.

ეუთო-სა და ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობის მიმართულებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მონაწილეობა მიიღო ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში, მათ შორის, ტერორიზმის საკითხებზე ევროპის საბჭოს კომიტეტის (CDCT) შეხვედრებში, ასევე ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის - „კორუფციის, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის სისტემების გაუმჯობესება საქართველოში" ფარგლებში გამართულ აქტივობებში.

სამსახურის აქტიური ჩართულობით 2019 წლის ივნისში საქართველოში გაიმართა ეუთო-სა და საქართველოს მთავრობის მიერ ერთობლივად ორგანიზებული ეროვნული სემინარი, რომელიც ეძღვნებოდა ტერორიზმის გამომწვევი ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის (VERLT) წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საზოგადოების მრავალმხრივი ჩართულობის მიდგომას. სემინარს დაესწრო 70-ზე მეტი მონაწილე, მათ შორის იყვნენ საქართველოს სახელმწიფო უწყებებისა და ძირითადად სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, ასევე ექსპერტები ეუთო-დან და სხვა წამყვანი ქვეყნებიდან.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საქართველოს გამოცდილების გაზიარების მიზნით სამსახურმა უმასპინძლა სხვადასხვა დაინტერესებული ქვეყნის ანტიკორუფციული და სხვა შესაბამისი უწყებების მაღალი დონის წარმომადგენლებს. ამასთან, 2019 წელს მნიშვნელოვანი იყო სამსახურის მიერ დიდ ბრიტანეთთან დამყარებული თანამშრომლობა და კორუფციის პრევენციის მიმართულებით საუკეთესო პრაქტიკის ურთიერთგაზიარება.

სამსახური აქტიურად იყო ჩართული ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (Moneyval) შემფასებელ მისიასთან ტერორიზმის დაფინანსების საკითხებზე გამართულ შეხვედრებსა და კონსულტაციებში.

საანგარიშო პერიოდში ეფექტურად გამოიყენებოდა ინტერპოლთან თანამშრომლობის შესაძლებლობები, როგორც ინფორმაციის გაცვლის, ისე გამოცდილების გაზიარების კუთხით. შეუფერხებლად მიმდინარეობდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე გამოცემული გაერო-ს რეზოლუციებისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტების იმპლემენტაცია. ამასთან, სხვადასხვა საერთაშორისო ვალდებულებების ფორმატში, წლის განმავლობაში მომზადდა არაერთი ანგარიში სამსახურის საქმიანობის შესაბამის მიმართულებებზე.

უწყებათაშორისი თანამშრომლობა და კოორდინაცია

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის წარმატებას დიდწილად განსაზღვრავს ეროვნულ დონეზე ეფექტური უწყებათაშორისი თანამშრომლობა.

ინფორმაციის გაცვლის, გარკვეული საფრთხეების მიმართ სახელმწიფო სტრუქტურებში ცნობიერების ამაღლების, შესაბამისი კონტრზომების ეფექტური დაგეგმვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სხვა მიზნებიდან გამომდინარე, საანგარიშო პერიოდში კიდევ უფრო გაძლიერდა კოორდინაცია სახელმწიფო უწყებებთან. საანგარიშო პერიოდში სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობდა საქართველოს შინაგან საქმეთა, თავდაცვის, საგარეო საქმეთა, იუსტიციის და ფინანსთა სამინისტროებთან, საქართველოს პროკურატურასა და დაზვერვის სამსახურთან, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურსა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან.

სამსახურის უფროსი ჩართული იყო საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მუშაობაში. მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირების სათანადო ინფორმირება და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად განაგრძობდა მონაწილეობას სხვადასხვა უწყებათაშორისი კომისიისა და საბჭოს მუშაობაში, მათ შორის, ანტიკორუფციულ საბჭოში, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიაში, ერთობლივი საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრის საქმიანობაში, 2019-2022 წლების საგარეო პოლიტიკის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემმუშავებელ უწყებათაშორის საბჭოში, ასევე საქართველოს ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიებში და სხვა უწყებათაშორის მექანიზმებში. ამასთან, 2019 წელს სამსახური კომპეტენციის ფარგლებში ჩართული იყო ეროვნული სტრატეგიული დოკუმენტების, მათი შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის ფარგლებში შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის მუშაობის ხელშეწყობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა, როგორც კომისიის თავმჯდომარე უწყებამ, სტრატეგიის ძირითადი მიზნების შესაბამისად, სახელმწიფო უწყებების მაღალი დონის ექსპერტების ჩართულობით, შექმნა უწყებათშორისი ოთხი თემატური სამუშაო ჯგუფი. სამოქმედო გეგმის სათანადოდ განხორციელების მიზნით 2019 წლის განმავლობაში გაიმართა თემატური სამუშაო ჯგუფების 15-ზე მეტი შეხვედრა.

ამავე დროს, საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს კოორდინაციით, მგზავრის წინასწარი მონაცემების (API) და მგზავრის სახელის ჩანაწერის (PNR) ერთიანი სისტემის შექმნის მიზნით ჩამოყალიბებული უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში გაიმართა არაერთი შეხვედრა შესაბამისი უწყებების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით.

2019 წელს სააგენტოს მხრიდან შეუფერხებლად მიმდინარეობდა სხვა სახელმწიფო უწყებებისა და დაწესებულებების, მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, როგორც თავმჯდომარე უწყება, წარმატებით განაგრძობდა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის ხელშეწყობას. აქტიური კოორდინაციის შედეგად 2019 წელს საქართველო ჩაერთო მნიშვნელოვან რეგიონულ პროექტებსა და სწავლებებში, რომელთა მიზანს სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობების გაუმჯობესება, ერთობლივი ოპერაციებისა და ინციდენტების მართვის ეფექტიანობის ამაღლება წარმოადგენდა. სამსახურის ორგანიზებით 2019 წლის 11 დეკემბერს გაიმართა საკოორდინაციო საბჭოს ყოველწლიური სხდომა, სადაც შეჯამდა საქართველოს ქბრბ საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგიის 2015-2019 წლების სამოქმედო გეგმის შესრულება.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა უსაფრთხოების საკითხებზე შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისა და წარმომადგენლების მუდმივ რეჟიმში ინფორმირება, გაიმართა არაერთი უწყებათაშორისი შეხვედრა და ერთობლივი ღონისძიება.

მდგრადობა და ინსტიტუციური განვითარება

ადამიანური რესურსები და პროფესიული განვითარება

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანური რესურსების ეფექტურ მართვას და აღნიშნულ პროცესში მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების უზრუნველყოფას.

წინა წლებში არსებული მიდგომების მსგავსად, გასულ წელს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საკადრო პოლიტიკის პრიორიტეტები იყო პროფესიონალი კადრების მოზიდვა და შერჩევა რამდენიმე ეტაპიანი მექანიზმის გამოყენებით. კვლავ გრძელდებოდა მათი მოტივირება, კარიერული წინსვლის შესაძლებლობების შექმნა და იმ მიმართულებით განვითარება, სადაც შესაძლებელი იყო პროფესიონალი კადრების უნარებისა და პოტენციალის მაქსიმალური რეალიზება. უწყების მხრიდან უზრუნველყოფილი იყო დასაქმების თანაბარი შესაძლებლობები ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური, თუ გენდერული თვალსაზრისით და შექმნილი იყო მაღალი სტანდარტების სამუშაო პირობები, მათ შორის, სათანადო სოციალური პაკეტით.

მაღალკვალიფიციური და გამოცდილი კადრების შენარჩუნების მიზნით საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განაგრძობდა პირადი შემადგენლობის წახალისებასა და მოტივირებას, განსაკუთრებით იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ მათი საქმიანობა ხშირად გარკვეული რისკების შემცველია.

2019 წელს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან სხვადასხვა ფორმით წახალისებული იქნა 605 თანამშრომელი, სამსახურის მედლით „მამაცობისთვის“ – 6 მოსამსახურე, სამსახურის სიგელით - 44, სამკერდე ნიშნით „ღირსეული

სამსახურისთვის“ – 25, საპატიო სიგელით - 74, ხოლო მადლობა გამოეცხადა 30 მოსამსახურეს და სხვა.

საანგარიშო წლის განმავლობაში აქტიურად გრძელდებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა სპეციალური მომზადება-გადამზადება და მათი პროფესიული უნარ-ჩვევების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ამაღლება. 2019 წელს სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა პროგრამებსა და სწავლებებში, მათ შორის, ოპერატიულ თანამშრომელთა და საბრძოლო დანაყოფების სპეციალური წვრთნისა და მომზადების, ტაქტიკური მოქმედებების თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებში და სხვა მიმართულებებით ჩატარებულ სწავლებებში.

ქვეყნის წინაშე მდგარი შიდა თუ საგარეო საფრთხეებისგან დაცვისა და მოქალაქეების უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უზრუნველყოფის მიზნებიდან გამომდინარე, სამსახურისთვის ასევე არსებითად მნიშვნელოვანია შესაბამისი დანაყოფების ანალიტიკური შესაძლებლობების განვითარება. საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანალიტიკურმა გუნდმა გაიარა არაერთი სასწავლო კურსი, მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა შეხვედრასა და კონფერენციაში, მათ შორის, სტრატეგიული პარტნიორების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში. ამავე დროს, საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით სამსახურის ანალიტიკოსები აქტიურად თანამშრომლობდნენ ადგილობრივ და უცხოელ ექსპერტებსა და სამეცნიერო წრეებთან.

2019 წელს გაძლიერდა „ჰიბრიდული საფრთხეების“ მიმართულებით მომუშავე ანალიტიკოსთა ჯგუფი, ასევე განვითარდა ეკონომიკური უსაფრთხოების კუთხით დასაქმებული ანალიტიკოსების პროფესიული შესაძლებლობები.

უწყების მდგრადი ინსტიტუციური განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, 2019 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში განხორციელდა მნიშვნელოვანი სტრუქტურული რეფორმები.

2019 წლის ბოლოს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში შეიქმნა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება - სასწავლო ცენტრი, რომელიც 2020 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. ცენტრის მიზანია სამსახურის მოსამსახურეთა უწყვეტი პროფესიული განვითარების, ისევე, როგორც ახალი კადრების პირველადი მომზადება-გადამზადების და სპეციალურ დისციპლინებში კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა.

აღნიშნული მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ახალი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი მოსამზადებელი სამუშაოები, მათ შორის, აისახა ცვლილებები შესაბამის კანონებსა და დადგენილებებში, განისაზღვრა სასწავლო ცენტრის ძირითადი ფუნქციები და სპეციალური პროგრამების მიმართულებები, შემუშავდა სასწავლო მასალები და დამტკიცდა შესაბამისი კადრების შერჩევის წესები.

ამავე დროს, თანამშრომელთა პროფესიული უნარების განვითარების, უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე ტენდენციებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცნობის კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 2019 წელს სამსახურის წარმომადგენელთა ჩართულობა საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით გამართულ სასწავლო კურსებსა და გადამზადების პროგრამებში. ამ მხრივ, ხაზგასასმელია ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის ქვეყნების, ევროკავშირისა და ნატო-ს მხარდაჭერა.

მატერიალურ–ტექნიკური და ფინანსური რესურსები

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ეფექტური ფუნქციონირებისა და ინსტიტუციური მდგრადობისთვის ასევე მნიშვნელოვანია სათანადო ინფრასტრუქტურული და მატერიალური რესურსების არსებობა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ტექნიკური და სხვადასხვა საშუალებების პერიოდულად განახლება-გაუმჯობესება. აღნიშნულს მუდმივ რეჟიმში უზრუნველყოფდნენ სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები.

2019 წლის საბიუჯეტო სახსრებით სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ გაფორმდა 417 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 27 871 922 ლარი. საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესრულების მიზნით შესაბამის კომპანიებთან გაფორმებული იქნა 12 ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს ღირებულებამ შეადგინა 632 409 ლარი.

2019 წლის საბიუჯეტო სახსრებით გამოცხადდა 213 ტენდერი, ხოლო ჩატარებული ტენდერებიდან ხელშეკრულება გაფორმდა 178 პრეტენდენტთან. ელექტრონული ტენდერებით გაფორმებული ხელშეკრულებების შედეგად, ჯამში ეკონომიამ შეადგინა 486 428 ლარი.